რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 22 ოქტომბერი 1917

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გამოწერის ფასი: ერთი თვით 3 მან. 35 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: როგორც პირველ გვერდზე ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—50 კაპ., მეოთხე გვერდზე—25 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს ღამის 11 საათ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა [illegible] სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 139. Редакция „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თბილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 177 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 177

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი კრების სადეპ. კანდიდატები ამიერ კავკასიის საარჩევნო ოლქიდან

რუსეთის ს.-დემოკრატიულ მუშ. პარტიის (მენშევიკების)

სია №1

1) **ჟორდანია**, ნოე ნიკოლოზის ძე, პირველი სახელმწიფო დუმის წევრი, კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის თავმჯდომარე.
2) **წერეთელი**, ირაკლი გიორგის ძე, მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
3) **ჩხეიძე**, ნიკოლოზ სიმონის ძე, მესამე და მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და ჯ.-კ. დეპ. საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.
4) **გეგეჭკორი**, ევგენი პეტრეს ძე, მესამე სახელმწიფო დუმის წევრი, კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის თავმჯდომარე.
5) **ზურაბოვი**, არშაკ გერასიმეს ძე მეორე სახელმწიფო დუმის წევრი.
6) **რამიშვილი**, ნოე ბესარიონის ძე, კავკასიის გლეხთა დეპ. საბჭ. ცენტრის თავმჯდომარე.
7) **რამიშვილი**, ისიდორე ივანეს ძე, პირველ სახელმწიფო დუმის წევრი.
8) **ჩხენკელი**, აკაკი ივანეს ძე, მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი.
9) **სკობელევი**, მათე ივანეს ძე, მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი.
10) **ჯიბლაძე**, სილიბისტრო გიორგის ძე, მუშა, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.
11) **გიორგაძე**, გრიგოლ კონსტანტინეს ძე, ქუთაისის გუბერნიის კომისარი.
12) **[illegible]**, მიხეილ ნიკოლოზის ძე, კავკასიის ჯარის საბჭოს თავმჯდომარე და თბილისის ქალაქის თავის ამხანაგი.
13) **[illegible]**, იოსებ არტემის ძე, კავკასიის ჯარის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
14) **ლომთათიძე**, ალექსანდრე სპირიდონის ძე, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის წევრი.
15) **ტერ ღაზარიანი**, ღაზარ გრიგორის ძე, პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ლექტორი.
16) **მახარაძე**, გერასიმე თომას ძე, მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
17) **არსენიძე**, რაჟდენ მათეს ძე, გაზ. „ერთობის" რედაქტორი.
18) **[illegible]**, გრიგოლ [illegible] ძე, მასწავლებელი, თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
19) **[illegible]**, არტურ [illegible] ძე, კავკასიის გზების [illegible].
20) **[illegible]**, ვიქტორ [illegible] ძე, ჟურნალისტი.
21) **[illegible]**, აბრამ [illegible] ძე, ბათუმის მუშ. და ჯარ. დეპუტ. საბჭოს თავმჯდომარე.
22) **[illegible]**, პეტრე [illegible] ძე, კავკასიის მუშ. დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
23) **გვარჯალაძე**, კონსტანტინე [illegible] ძე. ექიმი, თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
24) **[illegible]**, გრიგოლ [illegible] ძე, ჟურნალისტი.
25) **ანჯაფარიძე**, გიორგი ნესტორის ძე, ნაფიცი ვექილი, ბათუმის ქალაქის საბ. ხმოსანი.
26) **[illegible]**—[illegible], ანი ივანეს ასული, თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
27) **[illegible]**, ნიკოლოზ [illegible] ძე, კავკასიის გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენ. წევრი
28) **[illegible]**, გიორგი ალექსის ძე, კავკასიის მუშათა დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
29) **[illegible]**, ალექსანდრე ივანეს ძე, კავკასიის გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
30) **ტოროშელიძე**, მინადორა [illegible] ასული, ექიმი.
31) **[illegible]**, ანტონ [illegible] ძე, [illegible] პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარე.
32) **[illegible]**, [illegible] ძე, ინჟინერი, ამიერ კავკ. რკ. გზ. დეპუტ. კომიტ. წევრი.
33) **ერაძე**, გიორგი პავლეს ძე, კავკასიის მუშათა დეპუტ. საბჭოთა ცენტ. თავმჯ. ამხანაგი.
34) **[illegible]**, [illegible] ძე, თბილისის რკინის გზის დეპოს ზეინკალი.
35) **[illegible]**, [illegible] დანიელის ასული, მასწავლებელი, თფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
36) **[illegible]**, მიხეილ ანდრიას ძე, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

დამფუძნებელი კრების სადეპუტატო კანდიდატები სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიისა

კავკასიის ფრონტის საარჩევნო ოლქიდან.

სია № 1

1) **[illegible]**, [illegible] პეტრეს ძე სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის, კავკასიის ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. თბილისი—სასახლე.
2) **[illegible]**, მიხეილ ნიკოლოზის ძე, სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. კავკასიის ჯარების ცენტრის თავმჯდომარის ამხანაგი.
3) **[illegible]**, სამუელ იაკობის ძე, [illegible] რაზმის წარმომადგენელი არმიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.
4) **[illegible]**, პავლე ივანეს ძე, ნაფიცი ვექილი, თბილისი—ოლღას ქუჩა № 13.
5) **[illegible]**, აბრამ ლაზარეს ძე, [illegible] აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
6) **[illegible]**, ალექსი გრიგოლის ძე, ნაფიცი ვექილი, პირველი კავკასიის [illegible] ცხენოსანი კორპუსის კომისარი—მოქმედი ჯარი.
7) **[illegible]**, ალექსანდრე სერგეის ძე, ტრაპიზონის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი—ტრაპიზონი.
8) **[illegible]**, [illegible] ალექსის ძე, ამიერ კავკასიის სრულიად რუსეთის [illegible] კომიტეტის თავმჯდომარე—თბილისი.
9) **[illegible]**, მიხეილ ტროფიმეს ძე, ჯარისკაცი, კავკასიის ჯარის საბჭოს წევრი—თბილისი, სასახლე
10) **[illegible]**, ნიკოლოზ ზაქარიას ძე, [illegible] კავკ. ჯარის საბჭოს წევრი, თბილისი სასახლე.
11) **[illegible]**, იზრაილ მოსეს ძე, ჯარისკაცი, მე-491 ქვეითი [illegible] პოლკის კომიტეტის წევრი—მოქმედი ჯარი.
12) **[illegible]**, ფედორ დიმიტრის ძე, მუშა, ტრაპიზონის აღმ. კომიტ. წევრი—ტრაპიზონი.
13) **[illegible]**, [illegible] ხრისტოფორის ძე, ჯარისკაცი, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა „[illegible]" თანამშრომელი.

აკაკის სახელობის საბავშვო ბაღში

რომელიც მოთავსებულია სათ.-აზნაურო გიმნაზ. შენობაში, სწავლა დაიწყო.

ბავშვების მიღება გრძელდება. 1—1

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა საოლქო კომიტეტის საარჩევნო პლატფორმა

მრავალი სხვადასხვა პარტია გამოდის თავიანთ პროგრამებით და ლოზუნგებით და მოუწოდებენ ამომრჩეველებს, ხმა მისცენ მათ კანდიდატებს.

პროლეტარიატის პარტიამ, რუსეთის ს.-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ, თავის არსებობის პირველ დღიდანვე მიზნათ დაისახა თვითმპყრობელობის დამხობა და 14 წლის წინეთ პირველმა აღიმაღლა ხმა: „მთელი ხალხის მიერ თავისუფლად არჩეულ დამფუძნებელ კრების მოწვევის" შესახებ, რომელიც ერთად ერთი საშუალებაა რუსეთის დემოკრატიულ ნიადაგზე გარდასაქმნელად.

რუსეთის ს.-დემოკრატია საერთაშორისო სოციალიზმის შტოა. ყველა ქვეყნის სოციალისტური პარტიები იბრძვიან ისეთი წესწყობილების დასამყარებლად, რომლის დროსაც ყოველნაირი საზოგადო სიმდიდრე, წარმოების ყველა საშუალება, მთელი ადგილ-მამული, ფაბრიკები, ქარხნები, მაღაროები, გზები,—საზოგადო საკუთრებათ გადაიქცევა, რომლის დროსაც საზოგადოების ყველა წევრი, ყველა მოქალაქენი ვალდებული იქნებიან იშრომონ, სამაგიეროთ ყველა თანასწორათ ისარგებლებენ ქვეყნის სიმდიდრით და ადამიანის შრომის ნაყოფით.

სოციალისტურ წესწყობილების დროს მოისპობა კლასთა ბრძოლა, რადგან გაქრება თვით კლასები, აღარ იქნებიან მდიდრები, ღარიბები, გამძარცველნი და გაძარცულნი, მოისპობა ფულისათვის ბრძოლა და ამით გამოწვეული ბოროტმოქმედებანი, რაც ასე საშინელ [illegible] კლასებისათვის. კაცობრიობა ერთ დიდ ძმურ ოჯახათ გადაიქცევა.

მაგრამ სოციალ-დემოკრატ-მენშევიკებმა იციან, რომ სოციალიზმის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ამისთვის ნიადაგს მოამზადებს მეურნეობის განვითარება და ხალხის სიმდიდრის ზრდა, როცა ხალხის უმრავლესობა შეგნებული სოციალისტი გახდება.

ამიტომ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები იცავენ საწარმოო ძალთა განვითარების საჭიროებას და ამავე დროს [illegible] მშრომელ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; ისინი ყველგან იბრძვიან სრულ თავისუფლებისა და მთელი ხალხის [illegible] გამგეობის დასამყარებლად, ისინი ყველგან ცდილობენ მოიპოვონ ისეთი რეფორმები, რომლებიც შეამსუბუქებენ სოციალიზმისათვის ბრძოლას. სოციალდემოკრატია მუშათა კლასის, მშრომელ ღარიბ ხალხის პარტიაა.

მაგრამ კაპიტალისტურ ხანაში არც ქალაქში და სოფლებში მცხოვრებნი წვრილი მესაკუთრენი არიან კარგს მდგომარეობაში. ისინიც იჩაგრებიან მსხვილი კაპიტალისტებისაგან, ღარიბდებიან და ბოლოს პროლეტარიატის ბანაკში გადადიან. ამიტომ სოციალ-დემოკრატ-მენშევიკები მათაც [illegible] მუშათა კლასის სოციალიზმისათვის ბრძოლაში, რადგან მათი ხსნაც მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია.

ყველა ქვეყნებში, შეგნებული და ორგანიზებული შეკავშირებული პროლეტარიატი, სოციალ-დემოკრატიის პირით, იბრძვის რა თავის კლასის განთავისუფლებისათვის, ამავე დროს იბრძვის მთელი ხალხის უფლებების თავისუფლებისათვის, იბრძვის [illegible] კლასთა [illegible].

ოცდა ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთში გაჩნდნენ პირველი მუშა სოციალ-დემოკრატები.

მეფის მთავრობა თავიდანვე თავს დაესხა მათ, უნდა ძირიანათ მოესპო, სდევნიდა მათ, ასობით ალპობდა ციხეებში და გზავნიდა ციმბირში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიული პარტია მაინც დღითი დღე იზრდებოდა და მისი გავლენა მუშათა კლასში ფართო ნიადაგს პოულობდა.

1905 წლის რუსეთის პირველ რევოლუციის დროს ყველა მეწინავე, მთელმა ხალხმა მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგებს, სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდენ საერთო სახალხო მოძრაობას.

როცა დადგა რეაქციის შავ-ბნელი დღეები, როცა სტოლიპინის რეჟიმი [illegible] ყოველ ცოცხალ ძალას, სოც.-დემოკრატი მენშევიკები თავგანწირულებით იცავდნენ 1905 წლის ბრძოლით მოპოვებულ უფლებების ნაშთებს, ამაგრებდენ მუშათა ორგანიზაციებს, აკავშირებდენ მუშათა [illegible] ძალებს და [illegible] სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდან მოუწოდებდენ რევოლიუციის მიზანთა განსახორციელებლად. სოც.-დემოკრატებმა ოთხივე სახელმწიფო დუმაში გაგზავნეს თავისი დეპუტატები. იქ ისინი იცავდნენ მუშათა და გლეხთა ინტერესებს, სასტიკად ებრძოდნენ მეფის მთავრობას და ამჟღავნებდნენ მბრძანებელ კლასების სიყალბეს, [illegible] და ამავე დროს [illegible] მას, როცა ის რაიმე პროგრესიულ ნაბიჯს გადადგამდა. მეორე სახელმწიფო დუმის ს.-დემოკრატიული ფრაქციის მთელი შემადგენლობა კაკო წერეთლის მეთაურობით, კატორღაში გაგზავნეს და [illegible] გადაასახლეს, საიდანაც ისინი ემლანდელმა რევოლიუციამ განათავისუფლა.

დაიწყო ომი და სოციალ-დემოკრატებმა თავის ფრაქციის პირით, რომელსაც მეთაურათ იყო კარლო ჩხეიძე, პირველ დღიდანვე ამცნეს ქვეყანას, რომ იმპერიალისტური მთავრობების მიერ დაწყებულ [illegible] თვით ხალხმა უნდა მოძებნოს გზა. დუმის ს. დემოკრატიულ ფრაქციამ პირველმა მოითხოვა საყოველთაო ზავი, ხალხთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. იფეთქა რუსეთის რევოლიუციამ. სოციალ-დემოკრატი მენშევიკები იმავე საათში მოექცნენ ამ რევოლიუციის [illegible] და ყოველგვარ საშუალებით ცდილობდენ [illegible] დაჩქარებით [illegible] და დამფუძნებელ კრების მოწვევას.

დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატი მენშევიკები შეადგენენ ცალკე ფრაქციას, რომელიც აწარმოებს დამოუკიდებელ კლასობრივ პოლიტიკას და ყოველგვარ ძალ-ღონით ეცდება დამფუძნებელ კრებაში განახორციელოს შემდეგი მოთხოვნები.

1.

ომის დასრულება.

სოციალ-დემოკრატი მენშევიკები მთელი ძალ-ღონით წინ აღუდგებიან მტრის შემოსევას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვენ დამფუძნებელ კრებისაგან მიმართოს ყველა მებრძოლ სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამშვიდობო მოლაპარაკებას იმ პირობებზე, რომელიც [illegible] წამოაყენა რევოლიუციონურმა რუსეთმა და რომელიც მიიღო მებრძოლ და ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტთა უმრავლესობამ.

ომის გათავების დროს სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ეცდებიან [illegible] დამფუძნებელ კრებას ყველა საჭირო ზომები, რომ ჯარის დემობილიზაცია მოხდეს მუშათა და სამხედრო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით წინასწარ შემუშავებულ გეგმის თანახმად. ამასთან ისინი მოითხოვენ [illegible] ჯარიდან ქალაქში დაბრუნებულ მუშებისათვის [illegible] დაზარალებულთა და მათ ოჯახებისათვის, აგრეთვე იმ [illegible], და ფართო დახმარების აღმოჩენას ომისაგან დაზარალებულ მშრომელ ხალხისთვის.

ამასთან სოციალ-დემოკრატი მენშევიკები მოითხოვენ მუდმივ ჯარის გაუქმებას და სახალხო მილიციის დაწესებას.

2.

სახელმწიფოებრივი წყობილება და მოქალაქეთა უფლებანი.

სოციალ დემოკრატი მენშევიკები ეცდებიან განამტკიცონ ხალხის სრული ბატონობა, ე. ი. დააწესონ პარლამენტარული რესპუბლიკა, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭის ყრით არჩეული ერთი პალატით დემოკრატიული რესპუბლიკა, ისე რომ დეპუტატთა პალატის და მის მიერ არჩეულ მთავრობის ხელში იყოს მთელი ქვეყნის მართვა-გამგეობა. ამასთანავე ხალხის წარმომადგენლობას უნდა მიენიჭოს უზენაესი ძალა-უფლება, მის ხელში უნდა იყოს ომისა და ზავის გამოცხადების საკითხი და საზოგადოთ მთელი საგარეო პოლიტიკა. გარდა ამისა სოციალ-დემოკრატი მენშევიკები მოითხოვენ, რომ საზოგადოებრივ მართველობის დემოკრატიული ორგანოები, ქალაქისა და საერობო, იმავე საფუძველზე არჩეულნი, როგორც საზოგადო სახელმწიფო პარლამენტი, [illegible] მართვა-გამგეობის ორგანოებს და კერძოთ მათ ექვემდებარებოდეს ქალაქის და საერობო მილიცია.

სოციალ დემოკრატი მენშევიკები მოითხოვენ, რომ დაწესდეს მოსამართლეებისა და სხვა მოხელეთა არჩევა და ისინი სხვა მოქალაქეებთან ერთად პასუხის-მგებელი იყვნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე.

საზოგადოთ, ყველა მოქალაქეების შესახებ სოციალ-დემოკრატი მენშევიკები მოითხოვენ, რომ ისინი შეუზღუდველად სარგებლობდნენ ყველა მოპოვებული თავისუფლებით, როგორც არის სინდისის განუსაზღვრელი თავისუფლება, თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრების, კავშირების, და გაფიცვის; [illegible] პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობის თავისუფლება, წოდების, ტიტულის და ჩინ ორდენების გაუქმება, აგრეთვე დაწესდეს მოქალაქეთა სრული უფლებრივი თანასწორობა განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

დამატებით სოციალდემოკრატები მოითხოვენ ეკლესიის სახელმწიფოდან განცალკევებას და სკოლის ეკლესიიდან და აგრეთვე უფასო სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღებას ყველა ბავშვისთვის 16 წლამდე.

3

ნაციონალური საკითხი.

სოციალდემოკრატები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ნაციონალურ [illegible] ძალდატანებით ჩაგვრას და მოითხოვენ დამფუძნებელ კრებისაგან, რომ მან აღიაროს ყველა ერისა, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოში ცხოვრობენ, სრული თვითგამორკვევის უფლება. სოციალდემოკრატი მენშევიკები ეცდებიან განამტკიცონ სახელმწიფოს მთლიანობა და ამავე დროს მოითხოვენ [illegible] თვითმართველობა, აგრეთვე ავტონომია იმ ერებს, რომელნიც განსხვავდებიან ეკონომიურათ, ან ზნე-ჩვეულებებით. ამ თვითმმართველ ერთეულთა ტერიტორია განისაზღვრება [illegible] მოსახლეობის მიხედვით, მაგრამ ამავე დროს [illegible] უნდა იყოს მიღებული სამეურნეო მდგომარეობა და განსაკუთრებული ყოფა-ცხოვრება.

ნაციონალური საზღვრის შეცვლის დროს სადაო ადგილებში რეფერენდუმს უნდა მიმართონ.

მაგრამ იქ, სადაც მრავალი სხვადასხვა ერი ცხოვრობს, როგორც, მაგალითათ, კავკასიაში, ვერც თვითმართველობა და ვერც ავტონომია ვერ მოსპობს ამ სხვადასხვა ერთა შორის შუღლსა და მტრობას.

სოციალ დემოკრატი მენშევიკები იბრძოლებენ ერთი ერის მიერ მეორის დაჩაგვრის წინააღმდეგ, და [illegible] კულტურულ-ნაციონალური თვითმართველობა შერეულ თვითმართველობაში, განსაკუთრებით, კავკასიაში. ყოველ ერს უნდა მიენიჭოს კულტურულ ნაციონალურ საქმეებში თვითმართველობის უფლება და ამ გზით იგი [illegible] თავის ნაციონალურ-ტერიტორიალურ თვითმართველობას.

4.

აგრარული საკითხი.

გლეხთა [illegible] განთავისუფლებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ეცდებიან ყველა ადგილ-მამული გადავიდეს ხალხის საკუთრებათ, როგორც სახელმწიფო, საუფლისწულო და საკაბინეტო, ისე საეკლესიო, სამონასტრო და კერძო მემამულეთა მიწებიც. ყველა ეს ადგილ-მამული უნდა ჩამორთმეულ იქნეს უსასყიდლოთ.

მაგის წვრილი საკუთრება, როგორც სახაზინო, ისე შეძენილი, უნდა დარჩეს ყოფილ მესაკუთრეთა ხელში; მაგრამ, რომ ადგილ-მამული ხელში არ ჩაიგდონ [illegible], ყიდვა-გაყიდვის უფლება უნდა მიენიჭოს მხოლოდ ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებს და სახელმწიფოს.

სხვადასხვა რაიონებში მიწით სარგებლობის ფორმა, აგრეთვე ჩამოსართმევ მიწების რაოდენობას განსაზღვრავს მთელი ხალხის მიერ არჩეული ფართო თვითმართველობა.

ამ თვითმართველ ორგანოებს მიენიჭება უფლება თავის განკარგულებაში იქონიონ ხალხის საკუთრებათ ჩარიცხული ყველა ადგილ-მამული; ხოლო ის ტყეები, წიაღები და წყლები, რომლებსაც საზოგადო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, დემოკრატიულ სახელმწიფოს საკუთრებათ დარჩება, მაგრამ მათი სარგებლობის უფლება გადაეცემა მსხვილ თვითმართველ ადგილობრივ ორგანოებს.

ამასთან სოციალ დემოკრატი მენშევიკები მოითხოვენ გამოიცეს კანონი, რომლის თანახმათ უნდა დაიცვას სოფლის მეურნე-მუშათა დაცვა დამქირავებელთა ექსპლოატაციისაგან და [illegible] მათზე გავრცელდეს შრომის დაცვის ყველა კანონები.

საერთაშორისო ომი

რუმინეთის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. მდგომარეობა უცვლელია აგრეთვე ბალტიის ზღვაზედაც.

საფრანგეთის ფრონტზე, მდ. ენის რაიონში ფრანგების ჯარი წინ მიიწევს. ინგლისისა და ბელგიის ჯარები შეტევას განაგრძობენ.

ავსტრია-იტალიის ფრონტზე მდგომარეობა მწვავდება. იტალიის ჯარი კვლავ უკან იხევს. ამ ჟამად ბრძოლა იტალიის ტერიტორიაზე,—სან-დანიელის მაღლობებთან სწარმოებს. აქაც იტალიის ჯარი უკან დახევას განაგრძობს.

5

მუშათა საკითხი.

რომ დაცულ იქმნენ მუშები ფიზიკურ და ზნეობრივ გადაგვარებისაგან, რომ მათი განმათავისუფლებელი მოძრაობა უკეთეს პირობებში განვითარდეს, სოც.-დემოკრატები მოითხოვენ დამფუძნებელ კრებისაგან: 8 საათის სამუშაო დღის დაკანონებას ყველა დაქირავებულ მუშებისთვის, და სავალდებულო ყოველკვირეულ დასვენებას არა ნაკლებ 42 საათისა, ზედმეტ მუშაობის სრულიად მოსპობას იქ, სადაც ის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს. 16 წლამდე ბავშვების მუშაობის აკრძალვას; მცირე წლოვანთა და ქალთათვის შრომის განსაზღვრას, მრეწველთა ზედმეტ [illegible]ისაგან მუშათა დაცვას და მრეწველთა პასუხისმგებლობას უბედურ შემთხვევათა დროს; აგრეთვე მოითხოვენ სახელმწიფოებრივ დაზღვევას ავადმყოფობისაგან, მოხუცებულობისაგან და უმუშევრობისაგან დაზღვეულთა თვითმმართველობის დაკანონებით. სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ მშრომელთა დაზღვევას, შრომის ფართო ინსპექციის დაწესებას მუშათაგან არჩეულ პირთა მონაწილეობით და სასტიკ სანიტარულ თვალყურის გდებას იმ შენობებისას, სადაც მუშაობა სწარმოებს და მუშები ცხოვრობენ; დასასრულ მოითხოვენ შრომის კანონის დარღვევისათვის დამქირავებელთა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებას, [illegible] ყოველ ადგილას შემრიგებელ კამერების და შრომის ბირჟების დაარსებას.

6

წარმოების მოწესრიგება და განაწილება.

მწვავე ეკონომიკური კრიზისი, რომელიც თან სდევს ომს, მრეწველობის და ტრანსპორტის სრული არევ-დარევა, მასიური უმუშევრობა და შიმშილობის საფრთხე სახელმწიფოს წინ უყენებს ურთად მძიმე და საგულისხმიერო, რთულ კითხვებს. ს. დემოკრატები შეუპოვრად მოითხოვენ სახელმწიფო ჩარევას ეკონომიურ ცხოვრების ყველა დარგში, მოსაწესრიგებლად წარმოება, ტრანსპორტი და განაწილების საქმე და მნიშვნელოვან მასიურ საგნებზე შემოღებულ იქმნას მონოპოლია.

ამავე დროს ს.-დემოკრატები ეცდებიან, კერძო მესაკუთრეთა ჯგუფების ინტერესები დაუქვემდებარონ მთელი ქვეყნის ინტერესებს.

7

ფინანსიური პოლიტიკა.

ყველა ამ დიდ რეფორმების განხორციელებლათ და ომით გამოწვეულ კრიზისათა გადასალახავად საჭირო იქნება დიდძალი თანხა.

ს.-დემოკრატები დამფუძნებელ კრებაში მოითხოვენ სახელმწიფო გადასახადების უმთავრესი სიმძიმე დააკისროს შეძლებულ კლასებს. ამისათვის ს. დემოკრატები ეცდებიან ქონებაზე ერთდროულ გადასახადის შემოღებას, არა-პირდაპირ გადასახადების სრულიად მოსპობას და მის შეცვლას შემოსავალზე და მემკვიდრეობაზე პროგრესიულ შემოსავლის კვალობაზე გადასახადებით.

ბურჟუაზია უკვე კონტრ-რევოლუციონერთა ბანაკში გადაიბარგა. ამიტომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რეფორმების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციონურ დემოკრატიისა და მისი ავანგარდის—ს.-დემოკრატიულ—პარტიის ძალღონით.

დამფუძნებელ კრებაში მთელი თავის მოღვაწეობის დროს სოციალ-დემოკრატი მენშევიკები იხელმძღვანელებენ, უპირველეს ყოვლისა, ქალაქისა და სოფლის მუშათა კლასის ინტერესების დაცვით; გადაჭრით შეებრძოლებიან კონტრ-რევოლუციონერთა ცდას, რუსეთის განვითარება უკუღმა შეატრიალონ; სოციალ-დემოკრატები ხელს შეუწყობენ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას, მის კულტურულ ამაღლებას, თავისუფლების განმტკიცებას და ხალხის ბატონობის დამყარებას. ეს საუკეთესო საშუალება იქნება სოციალიზმისათვის ბრძოლის გასაადვილებლად.

ს.-დემოკრატიული პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც საქმით იცავს მუშათა და გლეხთა, ყველა დაჩაგრულ ერთა და ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესებს.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიის სიას № 1.

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

ამხანაგ ჯარისკაცებს

პირველია მსოფლიო ისტორიაში ჯარისკაცების მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში.

ეს უმაგალითო მოვლენა მოგვცა რუსეთის დიადმა რევოლუციამ, მძლავრმა დემოკრატიულმა მოძრაობამ, რომელსაც ხელი ჩაუდგა და გვირგვინი დაადგა მუშათა და ჯარისკაცთა ერთსულოვანმა კავშირმა. ამ ერთ ძალის შეუძლია ეხლა დაამხოს ტახტი თვითმპყრობელობის, თებერვლის სასახელო და ბრწყინვალე დღეებში, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება რუსეთის განმათავისუფლებელ ისტორიაში.

ამხანაგო ჯარისკაცებო?

მოკლე ხანში თქვენ უნდა წარსდგეთ საარჩევნო ყუთის წინ, რათა ხმის მიცემით განამტკიცოთ ის, რაც სისხლით და ცრემლით იქნა მოპოვებული. ახლა წყდება ბედი თებერვლის ბრძოლის შედეგების. დამფუძნებელი კრება, ეს სრულუფლებიანი წარმომადგენლობა რუსეთის ხალხისა—მოწოდებულია ახალი საფუძველი ჩაუყაროს რუსეთის მომავალ ცხოვრებას.

მრავალი მუქარისეული მოგელინებათ ამ დღეებში და თქვენი ნდობის დამსახურებას მოინდომებენ. დაპირებებსა და დაიმედებას საზღვარი არ ექნება. მაგრამ, თქვენ გახსოვდეთ ამხანაგო ჯარისკაცებო, პირველი დღეები რევოლუციის. გაიხსენეთ ვისთან იდექით ერთად ამ საბედისწერო ბრძოლაში და ახლაც მათთან ერთად ჩადექით მებრძოლთა რაზმებში. მუშათა კლასი—აი თქვენი ერთგული თანამებრძოლი. მუშათა პარტია სოციალ-დემოკრატია, აი ამ ბრძოლის საუკეთესო გამომხატველი.

აი ამიტომ უნდა მისცეთ თქვენი ხმა ამ პარტიის წამოყენებულ სიას № 1.

დღეს ბევრი პარტიები მოგმართავენ მადლ-მადლი ფრაზებით, მაგრამ თქვენ გახსენით თვით სტოლიპინის ხან. დუმაში ვინ ებრძოდა თავგანწირვით ძველი რეჟიმის მესვეურებს, ვინ იდგა აშკარად სახ. დუმის ტრიბუნაზე და მოუწოდებდა ხალხს რევოლუციურ ბრძოლისაკენ, ეს იყო სოციალ-დემოკრატია".

აი ამიტომ უნდა მისცეთ ხმა ამ პარტიის სიას № 1.

დამფუძნებელ კრებას დიდი საკანონმდებლო მუშაობა აქვს შესასრულებელი. მან უნდა დაადგინოს ახალი წესწყობილება, შეიმუშაოს ახალი კონსტიტუცია დემოკრატიული რესპუბლიკის. მისცეს მიწა სოფლის ხალხს და შრომის კანონმდებლობა ქალაქის მუშას. ვის შეუძლია ყველაზე უკეთ განახორციელოს ასეთი დადგენილებები? იმას ვინც ნაცადია ასეთი წყობილებისთვის ბრძოლაში, იმას, ვინც ყველაზე უფრო დაინტერესებულია მათი განხორციელებით. ასეთია მუშათა კლასი და მისი პარტია სოციალ-დემოკრატია.

მჭიდრო კავშირი მუშათა და ჯარისკაცთა შორის საუკეთესო თავდებია თქვენი ინტერესების დაცვის.

ამხანაგო ჯარისკაცებო!

საშინელი ომი ჯოჯოხეთის ტანჯვით მოგვლინა კაპიტალიზმმა. ომის დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია და ზავის ჩამოგდება ერთად-ერთი საშუალებაა რევოლუციის ხსნის და ხალხის გადარჩენა გადაგვარებისაგან. მხოლოდ სოციალ-დემოკრატია—პარტია საერთაშორისო პროლეტარიატის, მთელი ქვეყნის დემოკრატიის შეერთებით და ამხედრებით შესძლებს ამ მიზნის მიღწევას. აი ამიტომ უნდა მისცეთ ხმა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და მის სიას № 1-ს.

ზავი, მიწა, თავისუფლება, დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება და ფართო მუშათა კანონმდებლობა, აი რისთვის იბრძვის დღეს სოციალ-დემოკრატია.

მაგრამ სოციალ-დემოკრატია მარტო დღევანდელი დღის მოთხოვნილებებით არ კმაყოფილდება. იგი ერთის წუთითაც არ ივიწყებს თავის საბოლოო მიზანს სოციალისტურ წყობილების განხორციელებას. და ყველა სადღეისო მოთხოვნები მისთვის მხოლოდ გზა და ხიდია ამ მომავალი წყობილების მოსამზადებლად.

მაშ მიეცით ხმა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას № 1.

პრესა

სოფელი პურს არ იძლევა. მემამულეები სპეკულიანტებს უწევენ და პურს თავის ბეღლებიდან არ უშვებენ. ამის წინააღმდეგ ბოლშევიკური გაზეთი „რაბ. პუტი" ასეთ რეცეპტს იძლევა.

რეცეპტი პირველი:

„თვით ბურჟუაზიულმა გაზეთმა „რუსსკაია ვოლია"-მ აღიარა ამ დღეებში, რომ გლეხთა მოძრაობამ კოზლოვის მაზრაში „მოულოდნელი" შედეგი მოიტანა, ყველა რკ. გზის სადგურები მაზრაში პირდაპირ აივსო პურით. ეს დაამტკიცებს, გადარჩენილი მემამულეები ჩქარობდენ როგორმე გადაერჩინათ თავის ქონება".

საშუალება, როგორც ხედავთ, რადიკალურია: დაუწყეთ დარბევა და პურიც გამოჩნდება. მაგრამ ეს რეცეპტი ორპირი მახვილია, იგი თითქო ერთი ხელით აკეთებს, მაგრამ შემდეგ ორჯერ მეტს ანგრევს:

იქვე ვკითხულობთ:

„ვორონეჟის მაზრაში მემამულეთ მიწების დატაცების დროს ცეცხლი წაუკიდეს ეკონომიებს, რომელშიაც დაიწვა ექვსასი ათასი ფუთი ხორბალი". („რაბ. პუტი" № 34)

არა მგონი თვით ლენინელთა უკანასკნელმა მიმდევარმაც კი ილაპარაკოს, რომ ამდენი პურის გადაწვა უპურობას შეღავათს. ამიტომ ცხადია პირველი საშუალება პირწმინდათ უნდა დაგმობილ იქნეს.

ამას გრძნობენ ბოლშევიკებიც და მეორე რეცეპტსაც იძლევიან:

„უნდა ჩამოერთვას მიწა მემამულეთ, უნდა ჩამოერთვას პური მემამულეთ, ვაჭრებით ჩვენ. საჭირო მიწები დაუყოვნებლივ გადაეცეს ხელში სადგილმამულო კომიტეტებს".

ჩვენ ამ ზომის სრული თანახმა ვართ, და იგი არა ერთხელ აღვინიშნავს ჩვენს გაზეთში.

მაგრამ იბადება კითხვა: როგორ შეიძლება ამ ზომის განხორციელება? ჩვენ გვგონია, რომ ეს შეიძლება ბურჟუაზიულ რევოლუციის ფარგლებში და იმ საშუალებებით, რომელიც ამ რევოლუციას მოეპოვება. ბოლშევიკების მაქსიმალისტობა კი ამ ზომის განხორციელებას გვპირდებიან სოციალურ რევოლუციის შემდეგ. საქმე ასე ყოფილა:

„თუ გავტეხავთ მემამულეთა ძალას, თუ შევუსრულებთ მემამულეთა უფლებები, პური გვექნება. მაგრამ მემამულეებთან ერთად მხარ-მხარს დგანან კაპიტალისტები, ხოლო კორნილოველების და ნახევარ კორნილოველების მთავრობა მთელი თავის ძალღონით ერთგულად იცავს მათ. რომ გავანთავისუფლოთ პური მემამულეთა ბეღლებიდან, საჭიროა გავანთავისუფლოთ ქვეყანა კონტრ-რევოლუციონურ მედროვეთა ძალა-უფლებისაგან".

ეს სიტყვები რომ ლიტერატურულ ენაზე გადმოვთარგმნოთ, შემდეგს მივიღებთ: პურის მისაღებათ მემამულეებისაგან საჭიროა ყოფილა გაუქმება ფეოდალიზმის, გაუქმება კაპიტალისტურ წყობილების და ჩამოგდება დროებითი მთავრობის, ე. ი. სოციალური რევოლუცია: არც მეტი არც ნაკლები. მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ პურს. ასეთია ბოლშევიზმის ახალი სიბრძნე. აქამდე მარქსიზმი, რომელსაც ბოლშევიკებიც არ უარყოფდენ დღემდე, უტყუარ ჭეშმარიტებათ იყო აღიარებული, რომ ფეოდალიზმის გაუქმება შედეგია კაპიტალიზმის ზრდის, მაშასადამე მემამულეთა გაუქმება—საფუძველთ ედება ბურჟუაზიის მძლავრ განვითარებას, რადგან იგი ანთავისუფლებს საწარმოო ძალებს. ახლა კი ფეოდალურ კლასის გასაუქმებლათ საჭიროთ გვიხატავენ სოციალურ რევოლუციას:

„პურს, ისე როგორც მიწას, ისე, როგორც ზავს, მოგვცემს მხოლოდ ახალი რევოლუცია (ხაზი ჩვენია) მუშების, სალდათების და ქალაქის და სოფლის ღარიბ-ღატაკების".

ამ ტირადაში ერთი ატომიც არ არის მარქსიზმის. საერთოდ თუ მკითხველი ბოლშევიკურ სიტყვიერებას კითხულობს, შენიშნავდა, რომ მათ სიტყვა მარქსიზმი ხაზებით დაავიწყდათ, მარქსისტული ანალიზი და აზროვნება ხაზებით დაეკარგათ. წინეთ, რევოლუციამდე ჭეშმარიტ მარქსისტებს, ნამდვილ მარქსისტებს გვიხმდენ, ახლა კი ჭეშმარიტისაც თავი ანებეს და უბრალო მარქსიზმსაც გამოეთხოვენ. ეს სავალალო მოვლენაა და მუშებმა ამას ყურადღება უნდა მიაქციონ.

დეპეშები

(პ. ტ. ს. 21 ოქტომბერი).

პეტროგრადის გარნიზონის თათბირი.

პეტროგრადი. პეტროგრადის გარნიზონის თათბირმა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებმა წინადადება მისცეს პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს რევოლუციისთვის მხარი დაუჭირონ, დაადგინა არავითარი რეზოლუცია არ გამოიტანოს.

ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვის მოლოდინში.

პეტროგრადი. რადგან პეტროგრადის და მოსკოვის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის საკითხი დაისვა, უკეთუ მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდნენ, 1 ნოემბერს გაფიცვა გამოცხადდება, სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსკოვის ფოსტის მთავარ კომიტეტს დეპეშა გაუგზავნა იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტი იმუშავებს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ დადგენილებას, რომლის განხორციელების საქმეც ახლოა და სთხოვს თავი დაანებონ არა-ორგანიზაციულ გამოსვლას.

ტყვეების დაცვა.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ შეიმუშავა ტყვეების დაცვის შესახებ ახალი დროებითი წესები. ტყვის [illegible] დაისჯება. ტყვის დაცვა და წესიერათ მოპყრობა [illegible] კომიტეტებს.

დეპუტატთა საბჭოდან გასვლა.

სარატოვი. რადგან ბოლშევიკების პოლიტიკას ვერ შეურიგდნენ, ს.-რევოლუციონერები გავიდნენ დეპუტატთა საბჭოდან.

თემთა პალატაში.

ლონდონი. თემთა პალატაში ტრეველიანი შეეკითხა პრემიერ მინისტრს: შეიძლება, თუ არა შეტყობინოს ცნობა გერმანიის მთავრობის მიერ ზავის შესახებ წინადადებაზე, რომელიც მან ბელგიას მისცა და არის თუ არა მასში ნათქვამი ბელგიის აღდგენის და ელზას-ლოტარინგიის დაბრუნების შესახებ. პრემიერ მინისტრმა უპასუხა, რომ ეს საფრანგეთის შეეხება და მისი გამოქვეყნების უფლება ჩვენ არა გვაქვს.

დამფუძნებელ კრების არჩევნები.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების არჩევნების სრულიად რუსეთის კომისიამ განმარტა, რომ როცა უკვე კანდიდატების სიის დანომვრის შემდეგ კანდიდატებს აღარ აქვს უფლება ამორიცხულ იქნენ სიიდან, რაკი პირველად თანხმობა განაცხადეს. კომისიამვე განმარტა, რომ შესაძლებელია ბარათების ფერად ქაღალდზე დაბეჭდვა.

ტერეშჩენკოს განმარტება.

პეტროგრადი. საგარეო საქმეთა კომისიის დახურულ კრებაზე ტერეშჩენკომ განმარტება მისცა.

შვეციის განზრახვა.

ჰელსინგფორსი. აქაურ პოლიტიკურ წრეებში დიდი აურ-ზაური გამოიწვია შვეციის გაზეთებში აღძრულმა საკითხმა ალანდის კუნძულების ხელში ჩაგდების შესახებ. ფინლიანდიის გაზეთები ერთხმად აცხადებენ რომ ვინც ალანდის კუნძულების მიტაცებას განიზრახავს, ის ჩვენი დაუძინებელი მტერია და უკეთუ შვეციამ მოინდომა ამ კუნძულების ხელში ჩაგდება მთელი ფინლიანდია, როგორც ერთი კაცი, ფეხზე ადგება და შვეციასა და ფინლიანდიას შორის არსებული ძმური განწყობილება ერთის დაკვრით დაისწყდება.

ტროცკის განცხადება.

პეტროგრადი. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს კრებაზე ტროცკიმ განაცხადა, რომ ბოლშევიკები არ ფიქრობენ გამოსვლას, ხოლო თუ საჭირო იქნა, ყველა ჯარისკაცი და მუშები გამოგვყვებიან.

პეტროგრადის ოლქის ჯარების მთავარ სარდლის ბრძანება.

პეტროგრადი. პეტრ. ოლქის ჯარების მთავარსარდალმა ბრძანება გამოსცა, რომ ასეთ კრიტიკულ მდგომარეობის დროს პეტროგრადში შეიარაღებულ გამოსვლისთვის მოუწოდებენ. ბრძანებაში ნათქვამია, რომ ყოველმა ჯარისკაცმა დახმარება გაუწიოს ქალაქის თვითმმართველობებს და მილიციას. უკეთუ მათ ყაზარმაში მივიდა ვინმე და აგიტაცია გასწია გამოსვლის შესახებ, დააპატიმრონ.

მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ აკრძალულია მუშათა დაჯარიმება წარმოების წარმომადგენლებისაგან.

ცირკულიარული განკარგულება.

პეტროგრადი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულიარული განკარგულება გაუგზავნა გუბერნატორებს, რომ მათ სასტიკი ზომები მიიღონ, თუ საჭირო იქნა, შეიარაღებული ძალაც იხმარონ პურის საწყობების და ფაბრიკების დასაცავათ.

მილიციონერების სკოლები.

დროებითმა მთავრობამ 500 000 მ. გადასდო მილიციონერების მოსამზადებელ სპეციალურ სკოლების გასახსნელათ.

პენზია რევოლუციონურ მოღვაწეებს.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა პენზიის სახით ხაზინიდან დახმარება გაუწიოს იმ პირთ, რომელთაც რაიმე ღვაწლი მიუძღვით სამშობლოს წინაშე. პირველათ პენზიას დაუნიშნავენ შლისელბურჟელებს, რომლებმაც დიდი ხნის სატუსაღოში ყოფნის დროს ჯანმრთელობა დაჰკარგეს.

სასახლის შესყიდვა.

— დროებითმა მთავრობამ დაადგინა შეისყიდოს მარმარილოს სასახლე თავის მოწყობილობით 12 მილიონ მანეთად.

დახმარება მშობიარეთათვის.

— დროებითმა მთავრობამ განსაზღვრა თუ რა დახმარება უნდა მიიღონ მშობიარეებმა, რომელნიც სავადმყოფო კასების წევრები არიან. 8 კვირის განმავლობაში უნდა მიიღონ ნახევრიდან მთელ სამუშაო ქირამდე.

რესპუბლიკის საბჭოში.

— რესპუბლიკის დროებითი საბჭოს უხუცესთა საბჭომ დაადგინა შემოიღოს ორატორთა სიტყვის თქმის დრო ნახევარი საათით. წინადადება მისცეს ფრაქციებს თვითეულ კითხვაზე თითო ორატორი წამოაყენონ და მომავალ კვირიდან მოახდინონ 4 სახოგადო კრება.

გაერთიანებულ ს. დემოკრატ ინტერნაციონალისტების კონფერენცია.

— 18 ოქტომბერს „ნოვაია ჟიზნი"-ს რედაქციაში გაიხსნა გაერთიანებულ ს. დ. ინტერნაციონალისტთა კონფერენცია. პროგრამა შემდეგია: პარტიის საარჩევნო პლატფორმა, დეპუტატთა საბჭოს ხელ-ახლა არჩევნებში მონაწილეობა, საორგანიზაციო კითხვები, მომენტის საზოგადო შეფასება, ინტერნაციონალის აღდგენა და სხვ.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 20 ოქტომბერი. ჩრდილოეთის და დასავლეთ ფრონტზე მოწინავე რაზმები იბრძვიან. ბრილის სამხრეთ-დასავლეთით, სოფ. ლუბოშინთან ავსტრიის ჯარებმა თავიანთ სანგრებიდან ამოსვლა დაიპირეს და ჩვენს პოზიციებს სროლა აუტეხეს, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ისინი იძულებული გახადა კვლავ თავიანთ სანგრებში ჩასულიყვნენ.

რუმინიის ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე აღსანიშნავი არაფერი მომხდარა.

ბალტიის ზღვაზე სიწყნარეა.

პარიზი. 19 ოქტომბერი. მდ. ენის ჩრდილოეთით, პინონის რაიონში 10—14 ოქტომბერს ბრძოლის დროს ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 11,157 ჯარისკაცი, აქედან 37 ოფიცერია და ხელთ ვიგდეთ 180 ზარბაზანი, მდ. მაასის მარჯვენა ნაპირთან, ბომონის მიდამოებში, მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მასიოსა [illegible] არტილერიის სროლაა, დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ლონდონი 18 ოქტომ. [illegible] ფრონტზე მტრის არტილერია მედგრად მოქმედებს და ის ჩვენს პოზიციებს ყუმბარებს უშენს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პარიზი 18 ოქტომ. მდ. ენის ჩრდილოეთით, რუადეშონის რაიონში საარტილერიო სროლა გაცხოველდა. რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით, პუვერის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. არგონებში მოწინააღმდეგის ჯარი უკან დავახევინეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ლონდონი. 18 ოქტ. იპრ-რულერის რკინის გზებთან საარტილერიო სროლაა. გავრელისა და დიკსმიუდეს რაიონებში ბელგიის ჯარი მხნეთ მოქმედებს.

რომი. 18 ოქტომ. სან-დანიელისა და დილფორმზიას მაღლობებთან მოწინავე რაზმები იბრძვიან. ჩვენი ცხენოსანი ჯარი მარჯვეთ იფარავს ქვეითი ჯარის და უკანასკნელებს საშუალებას აძლევს მწყობრათ უკან დაიხიოს.

უკანასკნელი ფოსტა

როგორც „ნოვოე ვრემია"-ს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, ჩრდილოეთ ფრონტზე მოსალოდნელია დიდი შეტაკება. ამასთან ერთად გერმანელებს აზრად აქვთ მეკენზენის მეთაურობით მოლდავიაში შემოტევის დაწყება. მათი მიზანია აქ ქალაქ იასის დაპყრობა და უკრაინაში შემოჭრა.

* * *

პეტროგრადის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბოლშევიკების გამოსვლის მოლოდინში პეტროგრადში მრავალი [illegible] თავი მოუყრიათ დეზერტირებს, გაჩენილან მრავალი საეჭვო პირები, რომელთა მიზანია არეულობის დროს ხელი მოითბონ. ამ დღისათვის თურმე ემზადებიან ბნელი ძალები, ქურდები და სხვა საეჭვო პირები.

* * *

საბჭოთა „უწყებების" თქმით ბოლშევიკების მიერ დაწყებულ საქმეს გასავალი არ ეძლევა, ბოლშევიკები ამ შემთხვევაში განმარტოებულნი დარჩენ. მთელი დემოკრატია აღშფოთებულია მათი მოქმედებით. ისინიც უკან იხევენ, მაგრამ მეტად მყვირალა ფრაზებს ბევრს ხარჯავენ.

* * *

„რაბ. გაზ."-ს აზრით,—ვინაიდან საბჭოების ყრილობა მოწვეულია, უნდა ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ ეს ყრილობა ფალსიფიკაცია არ იქნეს.

ახალი ამბები

პურის ულუფის შემცირება. ფქვილის ნაკლებობის გამო ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა შემცირებულ იქნას პურის ულუფა, ე. ი. 1 გირვანქა პურის მაგიერათ 21 ოქტომბრიდან მცხოვრებთ მიეცემათ სამი მეოთხედი გირ. პური. სუხარებს ამ დღიდან არ გაყიდიან. ვინც ფიზიკურ შრომას ეწევა, ისინი მიიღებენ კიდევ სამ მეოთხედ გირ. პურს. პურის გასაყიდ ადგილების რიცხვი მაქსიმუმამდე გადიდებულა, ყოველ დილის 8 საათიდან დაიწყება პურის გაყიდვა. ვინაიდან პურის ულუფა შემცირებულია, უპუროთ არავინ არ დარჩება. ამიტომ არ არის საჭირო ფურნის წინ რიგში შუაღამიდანვე დადგომა, პურს ყოველთვის იშოვნიან საკმარისათ.

◆ **ფართლეულობა.** ამ დღეებში დარიგდება ფართლეულობის ბარათები და შეფასება. მომავალ კვირაში დაიწყება ფართლეულობის ნაწილობით გაყიდვა. ჯერ-ჯერობით ფართალს გაყიდიან დროებითი სასურსათო ბარათებით, შემდეგ კი შემოიღებენ საგანგებო ფართლის ბარათებს.

◆ **ფეხსაცმელები.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა მიიღო ძველი ფეხსაცმლების შესაკეთებელი სახელოსნოები.

◆ **განაპირა უბნებში.** ქალაქის განაპირა უბნების დათვალიერების დროს ქალაქის გამგეობის წევრმა ამხ. ი. ბესელიძემ დაინახა, რომ წყლით უზრუნველყოფისა და განათების მხრივ განაპირა უბნები მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. გამოირკვა, რომ 1 ვედროს მოტანილ წყალში მცხოვრებნი იხდიან 15 კაპ. ბევრი ქუჩები წყვდიადით ყოფილა მოცული, ვინაიდან ნავთით განათებაც კი არ ყოფილა მოწყობილი. გამგეობამ უკვე მიიღო ზომები, რომლითაც შესაძლებელია დღევანდელ პირობებში, გაუმჯობესდეს განაპირა უბნების მდგომარეობა. იმ ადგილებში, რომლებიც დაშორებულნი არიან წყლის გამანაწილებელ პუნქტებს, წყალს ჩაიმატარებენ მეთულუხეები და გაყიდიან 1 ვედროს 1 კაპეიკად. რაც შეეხება ქუჩების განათებას, ელექტრონის ნაკლებობის გამო მოაწყობენ მხოლოდ ნავთით განათებას. ამიტომ უკვე შეუკვეთეს ლამპებისა და ფარნების შეკეთება.

◆ **ტრამვაის ვაგონები.** ქალაქის გამგეობამ მიიღო ტრამვაის ვაგონების შესაკეთებლად საჭირო მასალა. როგორც გადმოგვცემენ, ერთი თვის განმავლობაში შეიძლება 10 მატორიანი და 5 მისაბმელი ვაგონის ამოძრავება.

◆ **გაფიცვა.** გაიფიცნენ ეკონომიურ ნიადაგზე ლუდის ქარხნის მუშები.

◆ **პურის გაყიდვის გახშირება.** მომხმარებელთა საზ. „[illegible]"-ის გამგეობამ დაადგინა ფურნეების მოწყობა. ჯერ-ჯერობით პურის გამოცხობა დაიწყო მ. ზელინის პრ., ავლაბარში და ნაძალადევში, გამოცხობილ პურის გასაყიდად გაიხსნა დუქნები: ნაძალადე

ლიფში—5 ვერსზე—2, ერთობის ქუჩაში—1, კირონის ქუჩაზე—1, მიხეილის პრ.—1, ველაბარში—1. პურის შედარებით კარგი ხარისხის ცხვება და მიღებულია აგრეთვე ყოველდღიური ზომები, რომ პურის დაყოფა სწრაფად მოხდეს და გრძელი „კუდები" არ გაკეთდეს.

◆ ყველი. თფილისში დააკავეს 5 ვაგონი ყველი, რომელიც მოსკოვში იგზავნებოდა გუმბრიდან, ეს ყველი თურმე ჩიჩინს შეუსყიდია ბორჩალოს მაზრაში და იქიდან გუმბრაში გაუტანია მოსკოვში გასაგზავნად, რომ თფილისში არ დაეკავებინათ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა დაადგინა ამ ყველის მხოლოდ ნაწილი გაეგზავნოს მოსკოვში.

◆ წისქვილი. ქალაქის სასურსათო გამგეობამ უკვე ჩამოართვა სოლომონის წისქვილი თავის პატრონს სურინოვს. წისქვილი დღე და ღამის განმავლობაში ფქვავს 1 ვაგონ ხორბალს.

◆ თფილისის სახელმწიფო ხემანქანის მართველობა ამით აცნობებს მოწაფეებს, რომ გადასასვლელი და დამატებითი გამოცდები დანიშნულია 23—31 ოქტომბერს, რის შემდეგ დაიწყება სწავლა. მისაღები გამოცდები მოხდება 25—31 ოქტომბერს. თავისუფალი ადგილები ყველა კლასში მოიპოვება.

◆ უბედური შემთხვევა. 20 ოქტომბერს ოლღას ქუჩაზე ტრამვაი დაეჯახა დროგს და სავსებით დაამტვრია. მედროგე შემთხვევით უვნებლად გადარჩა.

◆ თფილისის ოლღას სახელობის ხაზგაბით ინსტიტუტში მოწაფე პრაქტიკანტკებმა 18 ოქტომბერს გამოაცხადეს გაფიცვა. ეკონომიური მოთხოვნილებათა გარდა წარადგენილ იქნა აგრეთვე პოლიტიკური მოთხოვნილებანიც. ინსტიტუტის გამგემ ქ-ნმა მეფისოვმა ჯერ თვითონ უდიერად მოიხსენია გაფიცვა და მისი მეთაურები, მაგრამ როცა დაინახა რომ საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო, სასწრაფოთ დააკმაყოფილა ყველა მოთხოვნილებანი.

◆ საღამო ხვალ ავჭალის აუდიტორიაში რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის ორგ. მეორე რაიონის კოლექტივის ხელმძღვანელობით გაიმართება საღამო დამფუძნებელ კრების ფონდის გასაძლიერებლად. 1 განყოფილებაში ამხ. ალ. ლომთათიძე წაიკითხავს ლექციას, ქართულ ენაზე დამფუძნებელ კრებისა და რევოლუციის შესახებ. მე-2 განყოფილებაში შალვა დადიანისა და ქ-ნ ელო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ერთ მოქმედებიანი დრამა „სიცრუე", მე-3 განყოფილებაში იმღერებს მუშათა გუნდი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში და ამხ. მ. დადიანიძესთან. (მოლაკანის ქ. № 27).

◆ ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა მოაგონებს წევრებს დაჩქარებით შეიტანონ საწევრო გადასახადი, ვისაც სამი თვის განმავლობაში არ შეუტანია საწევრო გადასახადი, იგი ვერ ისარგებლებს კავშირის დახმარებით და გამოირიცხება კიდეც წევრთა რიცხვიდან.

◆ წარმოდგენა. დღეს თავისუფალ თეატრში (სახელოსნო კლუბში) ქართველ ცხენოსანთა პოლკის ტყვიის მფრქვეველის რაზმის ფონდის გასაძლიერებლად, რაზმთან არსებული [illegible] მსახიობ ი. ივანიძის მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება აკაკის ცნობილი პიესა „პატარა კახი", დრამა 5 მოქმ.

◆ პურის გაყიდვის გარშემო. „კუდებთან" ბრძოლის მიზნით, სანოვაგის თავის დროზე მისაღებად და სასურსათო ბარათების გამოცვლის გასაადვილებლად ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა შეუდგეს ცალკე სახლებში რწმუნებულთა დანიშვნას და კომიტეტების მოწყობას. სახლი, რომელშიაც ცხოვრობს 100-მდე კაცი, ირჩევს თითო რწმუნებულს, ის სახლი კი, რომელშიაც ასზე მეტი კაცი ცხოვრობს, ირჩევს სახლის კომიტეტს. ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უბნის სასურსათო კომიტეტში.

◆ კარტოფილი. ქალაქის სასურსათო კომიტეტმა შეიძინა სადგ. ბუხლანში 40 ვაგონი კარტოფილი და სთხოვს ხარკოვის სასურსათო კომიტეტს მისცეს მას ვაგონების „ნარიადი" კარტოფილის გადმოსატანად.

◆ სოფლის მუშათა საყურადღებოთ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილება სთხოვს სოფლის მუშებს ამ თავითვე აცნობონ მას ადგილობრივ რაიონულ სასურსათო კომიტეტების საშუალებით, რომელი და რა მასალა დასჭირდებათ გაზაფხულზე ყანების დასათესად.

◆ სასოფლო-სამეურნეო იარაღები. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო 100 გუთანი, 84 სათესი მანქანა, 30 მოსათიბი მანქანა, 29 ძნის შესაკრავი მანქანა, 3 სიმინდის სათესი მანქანა, 1000 ცელი და 3 ვაგონი რკინა იარაღების შესაკეთებლად. გზაში ყოფილა აგრეთვე საზოგადოების სახელზე გამოგზავნილი 10 ტრაქტორი (დიდი გუთანი).

კრებები და მიტინგები.

დღეს, დილის 9 საათზე, მე-3 სავაჟო გიმნაზიის შენობაში (ველიამინოვის ქ. № 11) დანიშნულია კრება ხეზე მომუშავეთა, სასწავლებელთა მუშების, მხატვრების და მღებავების პროფესიონალურ კავშირთა წევრებისა. განსახილავი საკითხი ამ პროფესიონალურ კავშირთა გაერთიანების შესახებ.

— დღეს ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1.) საღამოს 6 საათზე წაკითხულ იქნება ქართულ და სომხურ ენებზე, ლექციები დემოკრატიულ რესპუბლიკის შესახებ.

— დღეს, დილის 10 საათზე ავლაბრის კლუბში დანიშნულია ღვინის სარდაფებში მომუშავეთა კრება.

— დღეს ზარეცკის კლუბში (მიხეილის პროსპ. 3) დილის 11 ს. დანიშნულია თფილისის კოოპერატიულ საზ. შრომის წევრთა საგანგებო საზოგადო კრება. დღის წესრიგი: ფურაჟის უქონლობა, მიმდინარე კითხვები.

— დღეს კულტურ-ტექნიკურ სასწავლებელში (ალექსანდროვის ქ. № 57.) საღ. 4 საათზე, ამხ. ბ. რამიშვილი წაიკითხავს ლექციას აგრარულ საკითხზე. ლექციას მართავს თფილისის კოლექტივი ამიერ-კავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირისა თავის წევრთათვის. დასწრება შეუძლია არა წევრ-მოწაფეებსაც.

— დღეს დილის 10 საათზე, კულტურ-ტექნიკური სასწავლებლის შენობაში დანიშნულია ამავე სასწავლებლის მოწაფეთა მშობლების კრება მშობლებთა წრის დასაარსებლად

— დღეს, საღამოს 7 საათზე, თფილისის სახელოსნო სკოლის შენობაში წაიკითხავენ ლექციას დამფუძნებელ კრების შესახებ ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

— დღეს, დილის 11 საათზე, ნაძალადევის საეკლესიო სასწავლებლის შენობაში დანიშნულია სახლის პატრონთა კრება ბინის კომიტეტში თავის წარმომადგენლის ასარჩევათ.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, მე-6 სავაჟო გიმნაზიაში, ([illegible] ქუჩა № 3) ამხ. ლომთათიძე წაიკითხავს ქართულ ენაზე ლექციას დამფუძნებელ კრების შესახებ.

— დღეს, დილის 11 საათზე პროფესიონალური კავშირების ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა № 18) წაკითხულ იქნება ლექცია შემდეგ თემაზე: „რათ უნდათ მუშებს პროფესიონალური კავშირები" რუსულ ენაზე.

— დღეს დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდ"-ში წაიკითხავენ ლექციას მიმდინარე მომენტისა და დამფუძნებელ კრების შესახებ. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, მე-6 სავაჟო გიმნაზიის შენობაში (ფრეილინი ქ. № 3), პირველი სამილიციო უბნის რ. ს.-დ. პ. საარჩევნო კომიტეტი მართავს ლექციას შემდეგ თემაზე: „დამფუძნებელი კრება და თანამედროვე მომენტი". ლექციას წაიკითხავს ამხ. მ. არსენიძე.

— დღეს, საღამოს 4 საათზე, დანიშნულია რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტის წევრთა კრება. (გოლოვინის პრ. № 12)

ჩვენი ჯარისკაცების დახვრეტა საფრანგეთის ფრონტზე.

საფრანგეთის ფრონტიდან მოსული დელეგაცია ასე აგვიწერს ამ საზარელ ამბავს: რუსეთიდან გაიგზავნა საფრანგეთის ფრონტზე ჯარი. ამ ჯარის შემადგენლობაში იყვნენ გამოუწრთობილი ჯარისკაცები, მაგრამ საერთოთ ჯარში შეგნებული ელემენტებიც მრავლად იყვნენ. ჯარის ხელმძღვანელნი ცდილობდენ რუსის ჯარისკაცები არ დაეახლოვებინათ ფრანგებს, რომ ვსენი რესპუბლიკანური წესწყობილების იდეით არ გაეღვენთილიყვნენ. შემდეგ, როცა რუსეთში რევოლუცია მოხდა, საფრანგეთის ჯარის ხელმძღვანელნი იმავ მდგომარეობაში ჩავარდნენ, როგორც რუსის. ცხადია მათ აღელვებდათ შიში, ვაი თუ რუსის ჯარისკაცებმა ჩვენს ჯარისკაცებს გადასდონ ის „რევოლუციონური ავადმყოფობა", რომლითაც შეპყრობილი იყო მთელი რუსეთი და ცდილობდენ შორს დაეჭირათ თავიანთ ჯარი რუს ჯარისკაცებისაგან. საფრანგეთის მმართველებმა და განსაკუთრებით ბურჟუაზიამ, ყვითელი პრესის წარმომადგენლებმა ჯერ ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა რუსეთის ჯარს და შემდეგ სრულიად შეიძულეს. რუსის ჯარისკაცი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. ერთი მხრით მას გარს ერტყა კონტრ-რევოლუციონური სულით გამსჭვალული ჯარის ხელმძღვანელნი, მეორე მხრით ფრანგები. ყველა ეს და გაუთავებელი ომი სასოწარკვეთილებაში აგდებდა მათ.

გარკვეული განსაზღვრული როლი ამ საქმეში ბოლშევიკებმაც ითამაშეს. მათმა დემაგოგიურმა და ყოვლად უპასუხისმგებლო გამოსვლამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ მათ ჯარში ბევრი მომხრეები გაიჩინეს. მაგრამ, საწყენარია, ბნელმა და ორგანიზაციულად მოუწყობელმა მასამ თვით უკიდურეს მემარცხენეებს ბოლშევიკებს გადააჭარბა. ჯარში ანარქია გამეფდა. ჯარისკაცებმა კატეგორიულად მოითხოვეს სამშობლოში დაბრუნება. ამის საპასუხოთ ბრძანება მისცეს გაეგზავნათ ჯარი მაკედონიაში, რამაც უფრო გააბრაზა ჯარისკაცები. როცა ჯარის ხელმძღვანელებმა დაინახეს, რომ მდგომარეობა უიმედო იყო, გააუქმეს ეს ბრძანება და გადაწყვიტეს ჯარის რუსეთში დაბრუნება. მაგრამ ამ ბრძანებას ჯარმა აღარ დაუჯერა. ჯარს წინადადება მისცეს იარაღი ჩაებარებინათ, მაგრამ მან უარი სთქვა. გადაწყვიტეს შეიარაღებული ძალით დაემორჩილებინათ „ბუნტოვშჩიკები", რაც საარტილერიო ბრძოლით შესრულდა. პირველ სროლის ხმაზედვე ყველა „ბუნტოვშჩიკები" დანებდნენ, გარდა 150 ჯარისკაცისა, რომლებიც ანგარიშობდენ თავდაცვას. ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ მოკლეს 8 და დაჭრეს 41 ჯარისკაცი, ხოლო დაპატიმრეს 81. ეს ამბავი მოხდა 1—5 სექტემბერს. ამ ამბის გამო შედგა საგამოძიებო კომისია, რომელშიაც შევიდნენ ძველი წესწყობილების მოხელეები, რომლებმაც 1916 წ. 8 კაცს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა. ამიტომ დელეგაციამ გადაწყვიტა სახელით ჯარისკაცთა სექციის ცენ. აღ. კომ. დანიშნოს სხვა საგამოძიებო კომისია. (რ. გ.)

უგუნურება

(იგავი).

მეუდაბნოემ, ალხრილმა მზეში,
იხილა ერთხელ ცამცამა სხივი,
გაუთბა გული მშრალი და ცივი
და სამიჯნური ხილი ხელში;
გასწია ჯაჭურ, თოფელი გახარა,
ჩამოუარა ქალაქს და სოფელს
და ხალხს, ტანჯულს და ჭირში მყოფელს,
ეს ალტაცებით უთხრა, ახარა.
აზვირთდა ხალხი. უნდოდა ყველას
ხელში ჩაეგდო საკუთრათ იგი.
გადაავიწყდათ წესი და რიგი.
აღარ ფიქრობდა ძმა ძმისა შველას.
ჯაჭვი ჯაჭვს ეცა. გაჩნდა ომი.
სისხლით მოირწყო ყოველი მხარე.
გამეფდა ცრემლი და სიმწუხარე.
ხარობდა მხოლოდ ძალა ქვემძრომი.
დაუდგათ წამი სავალალოდ:
სანამ ერთმანეთს ებრძოდენ ასე,
სხვები კი გამქრა შუქ-მოკასკასე
და დარჩენ ისევ ხახა-მშრალები.

—

რას გვეუბნება ჩვენ ეს იგავი,
ტანჯვის უღელქვეშ მოხრილი ხალხო?
ვისაც არა აქვს შორს მჭვრეტი თვალი,
უბედურია და საცოდავი.

გ. რუხაძე

ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობის საკითხი

20 ოქტომბერს კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა ამხ. ევგენ გეგეჭკორის თავმჯდომარეობით განიხილა საკითხი ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის გარდაქმნისა და საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტის მოწყობას შესახებ. მოხსენება გააკეთა წინა სხდომაზე არჩეულ კომისიის სახელით ამხ. ვ. ჯუღელმა. კომისიაში მონაწილეობა მიიღეს ს.-დ. ებმა (მენშევიკებმა და ბოლშევიკებმა), ს.-რევოლ.-ებმა, ს.-ფედ.-ებმა, დაშნაკელებმა და მუსულმანებმა. კამათის შემდეგ ცენტრმა ერთხმათ დაადგინა, გენერალ-კომისრის დანიშვნა პეტროგრადიდან ამიერ კავკასიისათვის არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები, დღევანდელ პირობებში კავკასიის მმართველობა უნდა იყოს მხოლოდ კოლეგიური. რაც შეეხება ამიერ კავკასიის კომიტეტის გარდაქმნის საკითხს, ცენტრმა 46 ხმით 26 წინააღმდეგ დაადგინა კომიტეტში პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების გარდა შევიდნენ ეროვნებათა წარმომადგენლებიც. თვითეულ ერის წარმომადგენელს აირჩევენ ამ ერის ორგანიზაციები. ყველა წარმომადგენლებს ამტკიცებს კავკასიის მ., ჯ. და გ. დეპუტატების საბჭოთა ცენტრი. ამ ცენტრისვე ძალშია უფლება არ დაამტკიცოს ესა თუ ის წარმომადგენელი, მაგრამ ამისთვის საჭირო ხმათა 2/3 უნდა წამოაყენოს. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან ერთი ინიშნება პეტროგრადიდან (ან სოც.-დემ. ან სოც.-რევ.) კომიტეტში ერთი წარმომადგენლის გარდა შედიან 3 სოც.-დემ. წარმომადგენელი და 2 სოც.-რევ. წარმომადგენელი და თითო წარმომადგენელი ნაციონალურ პარტიებიდან (ს.-ფედერალისტები დაშნაკელებიდან და მუსულმანებიდან). ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტთან საგანგებო საბჭოს დაარსების შესახებ საკითხი მოხსნეს დღის წესრიგიდან. რაც შეეხება საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტის მოწყობას, აქ ცენტრმა ვერავითარი დადგენილება ვერ გამოიტანა, ვინაიდან სოც.-რევ. კამათის დასრულების შემდეგ, როცა ჯერი კენჭის ყრაზე მიდგა, განაცხადეს,—ჩვენს ფრაქციას ამ საკითხის შესახებ არ აქვს თავისი შეხედულება შემუშავებული და კენჭის ყრაშიც ვერ მივიღებთ მონაწილეობას. საკითხი კი მეტად საჭიროა და მისი გადადება უმრავლესობამ შეუძლებლად დაინახა. მაშინ სხდომა შესწყდა და სოც.-რევ. მისცეს 15 წუთი ერთმანეთში მოსალაპარაკებლად. მაგრამ მათ საათნახევრის განმავლობაშიაც ვერ გადაწყვიტეს ეს საკითხი და რადგან ძალიან გვიან იყო, მუშაობა ვერ განაგრძეს და კრება დაიხურა.

ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში

15 ოქტომბერს შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პლენარული სხდომა. განსარჩევი იყო საკითხი მასიური ჩხრეკის დროს აღმოჩენილ საქონლის განაწილების შესახებ. შემფასებელ კომისიის თავმჯდომარე ამხ. განმინი ამბობს, რომ ჩხრეკის შემდეგ აღმოჩენილი საქონლების შესაფასებლად შესდგა კომისია, რომელშიაც შევიდნენ მუშათა და ჯარისკაცთა და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლები. კომისიის მუშაობა მეტად საძნელო გახდა. ყოველ საათში შემოდის საჩივრები საქონლის პატრონთა ჩამორთმევის შესახებ, კომისიამ დაადგინა დროებით საქონელი არ გაეცეს, მხოლოდ საბოლოოთ ამ საკითხის გადაწყვეტა გადასცეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პლენარულ სხდომას. საკითხი იყოფა ორ ნაწილათ: 1) ჩამორთმეული საქონლის რეკვიზიცია თუ კონფისკაცია და 2) მისი განაწილება.

თავმჯდომარე მალხაზოვი სიტყვაში ამბობს საერთო რუსეთის საზოგადოებრივ პოლიტიკურ მდგომარეობაზე; იმედები, რომლებსაც ვამყარებდით რუსეთის ფართო დემოკრატიაზე, გაუმართლებელი დარჩა, ჯარისკაცთა ფრონტზე მასაში თავი წამოყო „პოგრომისტულმა" მოძრაობამ, რომელსაც ძველი პოლიციელები და ჟანდარმები ასულდგმულებს და ამით რუსეთის დემოკრატიის ორგანიზაციული მსვლელობა ირღვევა. ნიადაგ-ჩამოყალიბებული ბნელი ძალები გამოდიან, ვითომდა ბურჟუაზიასთან საბრძოლველად. შემდეგ ორატორი ეხება ზოგიერთ ჯარის-კაცების სამარცხვინო მოქმედებას, რომლებიც, ღებულობენ რა საქონელს, შემდეგ ორ სამ წილ ფასათ ყიდიან. ჯარისკაცთა ასეთი სამარცხვინო საქციელი მათ წინააღმდეგ ბუნებრივად იწვევს მცხოვრებთა უკმაყოფილებას, სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული ასეთი ჯარის კაცების წინააღმდეგ. ჩამორთმეული საქონლის განაწილების შესახებ ამბობს, რომ ეს განაწილებული უნდა იქნეს ისე, რომ სამხედრო პირებმა და მოქალაქეებმა ცალ ცალკე მიიღონ ხვედრი საქონელი. ლაპარაკობენ სხვა ორატორებიც. ზოგი მათგანი მოითხოვს რეკვიზიციას, ზოგი კონფისკაციას. მიღებულ იქნა რეზოლუცია: ყველა გადამალული აღმოჩენილი საქონელს კონფისკაცია უყონ, დანარჩენს რეკვიზიცია. მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: რეკვიზიას განმანაწილებელი კომისია მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს, ქალაქის თვითმართველობის, პროფესიონალური კავშირების და საგუბერნიო სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც დაევალება საქონლის განაწილება სამხედრო პირთა და მოქალაქეთა შორის, როგორც ქალაქში, ისე ოლქში. სამხედრო პირებს მიეცეს საქონელი სამხედრო ლავკებიდან, მოქალაქეებს კი—კოოპერატივებიდან და ქალაქის სასურსათო მაღაზიებიდან.

გ. [illegible]

ჯარის-კაცთა წერილები

ჩვ, ყოფილი ჯარის-კაცი ქართველ ცხენოსან პოლკისა, დღეს ყოფნისას ახლად შემდგარ ქართველთა—სამთო არტილერიის „ჭეშმარიტში", უნდა განვაცხადოთ, რომ მართალი საზიზღარი მოვლენაა ის, რომელსაც ადგილი ჰქონია ქ. კავკავში ქართულ მეორე მსუბუქ ბატარეაში 24 სექტ. 1917 წ. (იხ. გაზეთი „ერთობა" № 169), სადაც ჩამორთმეულან არა მარტო პირადი და თავიანთი მოქმედებით მთელი [illegible] ცხენოსნები. ეს ვაჟკაცები მიზეზობენ, როგორც არის მოხსენებული გაზეთში, ალ. თოფურიძე და ლიპარტელიანი, რომლებსაც 6—7 თვე იქნება, რაც თავიანთი პოლკი არ უნახავთ და იმის სახელით კი ცრუ ხმებს ავრცელებენ, რაც ჩირქს სცხებს ნამდვილ მებრძოლ ჯარს. მე გადაჭრით შემიძლია ვსთქვა, რომ ქართველი ცხენოსანი პოლკი, მუდამ დამცველი ყოფილა და არის კიდეც რუსეთის დემოკრატიის დროშისა. ისინი, ვინც ცდილობს საქმის არევ დარევას, შესაძლოა პასუხს მიიღონ პოლკის კომიტეტისაგან. ქართველი ცხენოსანი პოლკი ემორჩილება დროებით მთავრობას და არა თავისუფლების-ოქტომბრისტების ლაყბობას. ცხადად ეს ვიცით ამხ., რომ ამხ. ქოიავას ბორიჩაშვილის, რომ ისინი, გ. ი. თოფურიძე, ლიპარტელიანი განიზრახნილი ყოფილან: ლიპარტელიანი „არმიის საქმეზე", თოფურიძე კი პეტროგრადში, რომლებმაც (თოფურიძემ) არ შეასრულა თავის ვალდებულება, რომ შემდეგ ფრონტზე დაბრუნებულიყო, მაგრამ, რადგან პოლკს აქვს უფლება, ახალ პოლკოვნიკის ბრძანებით დროებით დარჩენ „ბოლშევიკების კამპანიაში" და არა ხალხთან და სამშობლოში. ესენი პასუხს გასცემენ მთელ პოლკს იმ ანტისოციალისტურ საქციელისათვის, რაც მათ მოახდინეს კავკავში.

ქართველი ცხენოსანი—სამთო არტილერიის „ჭეშმარიტის" ჯარის-კაცი:

ერმილოზ ხაჩლის ძე პუმბურიძე.

18 ოქტ. 1917 წ.

სოც.-დემ. პარტიაში

რკინის გზის სამმართველოში. 17 ოქტომბერს ლიახვის სკოლის შენობაში მოწვეული იყო რკინ. გზის სამმართველოს მოსამსახურეთა სოც. დემ. პარტიის წევრთა კრება. კრებას დაესწრო 53 წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ასათიანი, მდივნად ამხ. ნანუა. კრების გახსნისას დროებით მმართველობისგან წარმოდგენილი იყო დღის წესრიგი: 1) ხელმძღვანელი ორგანოს დაარსება სოც. დემ. პარტიის წევრთაგან და მათი არჩევა. 2) პარტიული მუშაობა, 3) ორგანიზაცია თანამშრომელთა მოსამსახურეთა და პარტიის წევრთა ჩაწერა, 4) დამფუძნებელი კრების კამპანია 5) ამორჩევა ერთი წარმომადგენლის მეორე რაიონულ კოლექტივში. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ამხ. ასათიანმა გააკეთა მოკლე მოხსენება რკინის გზის მოსამსახურეთაგან ორგანიზ. შეკავშირებულობის შესახებ, რომელსაც სხვათა შორის შეადგენს აგრეთვე თვალყურის დაჭერა, როგორც შეგნებულ ელემენტთ, აგრეთვე რკინ. გზის დემოკრატიულ კომიტეტში და ქვე-კომიტეტში მოქალაქეთა ზოგიერთ პირთა კონტროლის გაწევას და სხ. კრებამ დაადგინა აირჩიოს კოლექტივი რკინის გზის მოსამსახურეთაგან 11 ამხანაგისგან შემდგარი; მხოლოდ ეს კოლექტივი იქნება მეორე რაიონის—ქვე-კოლექტივი. მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გელაძე და სხ. რომელიც ეხება პარტიულ მუშაობის მიმდინარე ამოცანებს—კოლექტივის ორგანოების მოწყობაზე, ლექციების, კლუბის და სხვ. ამავე საკითხზე გამოთქვა აზრი ამხ. ნანუამ, რომელიც ამტკიცებს, რომ დაარსებულ იქნას „საკონსულტაციო" კომისია, რომელსაც უნდა ჰქონდეს ყურადღება, რომელიც ებს ასაცილებლად უფრო იმედი იყო უმცირესობების შორის. რაც შეეხება პარტიის წევრთა ჩაწერას,—მოხდა ჩაწერა [illegible] ლით. შემდეგ [illegible] მოსამსახურეთათვის ლექციის წასაკითხად. რაიონის კოლექტივის წევრებით კრებამ აირჩია შემდეგი ამხ.: ლ. ასათიანი, ი. ელიაძე, თ. ნინუა, ნატროშვილი, ხარაზიანცი, ი. ნაცვლიშვილი, ტაბიძე, ჩიკვაიძე, დიაკონენკო, ჩხიკვიშვილი და ჯავახიშვილი. კანდიდატებათ ბერუაძე, კაჩარავა და შერვაძე. მეორე რაიონულ კოლექტივში ამორჩეულ იქნა ერთხმათ ამხ. ლევ. ასათიანი.

თბერი.

პროვინციის ცხოვრება

ჭიათურა. თვითმართველობის საჭიროებას ყველაზე უფრო ჭიათურა განიცდიდა. მართალია, ჭიათურას ჰქონდა ერთგვარი თვითმართველობა—ჭიათურის მადნ-ქვის მრეწველთა საბჭო, რომელსაც აქვს თავისი ბევრი საზოგადო მნიშვნელობის და ხასიათის დაწესებულებები, მაგ. საავადმყოფო, პირველი დაწყებითი და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლები, (ჰქონდა სამთო ტექნიკური სასწავლებელიც, რომელიც ახლა „სოლომონიშვილმა" გადაიტანა და გადაკეტეს) ელექტრონის სადგური, წყალ-სადენები და სხვა, მაგრამ ამას მაინც ვერ აკმაყოფილებდა ჭიათურის მცხოვრებთათვის, რისაც ქალაქის თვითმართველობა გააკეთებს. მიუხედავათ იმისა, რომ მრეწველთა საბჭო ყოველ ხარჯს არ ზოგავდა, როგორც ცხადია, თვითმართველობის ბევრ ფუნქციებს ასრულებდა, თითონ ჭიათურა უნუგეშო მდგომარეობაში იყო. დღევანდელამდე ჭიათურა ჩვეულებრივ მტვერში და ტალახში ახრჩობდა, სამზღვრის აშენებისათვის არა ითვლება არა უფრო გაკეთებია. სახლის დაუდევრობამ, რომ ჭიათურა ნახევარზე საწვავით სანიაღვრეში და უწყლობით არის დარჩენილი. ელექტრონის სადგური მას უკვე აქვს აშენებული და გასაძლიერებელი არ არის, რადგან ჩვენ ისინითაა ნიადაგის საქმის გაკეთება, როგორც არის ელექტრონის და წყლის სადენის საქმე, მოაწყოს არა სხვადასხვაგვარად.

ჩვენ თვითმართველობას ბევრი ეკლიანი გზა აქვს გასავლელი, განსაკუთრებით მას უჭირდება სახელმძღვანელო წერილები. სხვაგან თუ ძველმა თვითმართველობებმა ახალებს ჩაუგდეს ხელში არაფერი დაუტოვეს, სამაგიეროთ, ჭიათურა ფორმალურად მზად ერთგვარი ცხოვრების დაწესებულება მაინც, რომლის გაძღოლასაც ახლები იკისრებენ: ჭიათურა ყველა ამის მოკლებულია და ყველაფრის შექმნა თავიდან უნდა დაიწყოს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ხალხი შეგნებულობით ყველა დაბრკოლებებს დასძლევს, ენერგიულად შეუდგება საქმეს და ამ პროგრესიულ ცხოვრებაზე ნელ-ნელა, რომელიც ამ საარჩევნო ბრძოლას ღირსეულ გამოვიდა.

ჰ.

თიანეთი. ბნელი ძალები ჩვეულებრივათ მუშაობენ თიანეთის მაზრაში. მათი აგენტები ღვთის სახლებში, აწყობენ პროპაგანდას-აგიტაციას, სოფლებს მიდიან და საქართველოს ხალხში, აწყობენ პროვოკაციას. ვინ არიან ეს აგიტატორები? ყოფილი პოლიციელები, ხანჯლიანები, ნაწილი თავადაზნაურობისა, სამღვდელოება და სხვადასხვა რომლებთაგან ბევრი გრ.-დემოკ. მოძრავი დროშის შემდეგ მოაწყობენ კონტრ-რევოლუციონურ საქმეს. ბაზალეთის ხეობაში ბნელი ძალები აგიტაციით მცხოვრებლების შორის დაიწყეს თავისთავის სასურსათო კომიტეტის გამგეობის წევრი და თავი გასამართლება დააპირეს, მაგრამ მათ ხელი მოუმართეს ზომებით წყალობით მიიღო შეაჩერეს. რას ქადაგებენ ეს? „მეფის" აგიტატორები. ხმებს: სასურსათო კომიტეტები „მოცერიკელებს" შეიძლება და ხალხს მუხის ართმევენ. სოფ. ახმეტაში ასეთი აშკარათ გაიძახიან: ს. დემ.-ებმა დაღუპეს ხალხი,—ჩითი, ნავთი, ტანისამოსი და სხვადასხვა მაქტიმ არ არის, რომ ს.-დ.-ის გაიძღოლისაგან. ეს ხმა ჰპოვეს ართმევენ ხალხს. შეუგნებელ ხალხში მოიმარჯვებიან პოლიციელები, მთავრობისაში მიამბობენ შეიარაღებულ მიზეზით ეს გზა დამხმარე ხალხს ს. დ.-ის აღსრულებას. ვინ მოსთხოვს, რა ხასიათს ქონებს არ აცხადებენ. საქმის გაჩუმებული, ვ ლილე არა ჩვენი კოდექსი 12 სექტემბერის „ს.ხ. საქმეში" დაბეჭდილი ამხილება; „ბახმის კომისარის უფლების მოცემულმა საზიზღარი სისხლის ღვრა გამოიწვიოთო". ამ ცნობას „ს. საქმე" ჩვეულებრივ ათავსებს. თუ რაიმე მოხდა ეს, დაჩქარებით გამოიძიება. ფარიდა ავუზებს ყოველილის, მხოლოდ დუშეთში კი პროვოკაციული ხასიათისაა და ამით ქვა და გუნდა ცხრობის ს. დ. ის. თანემამი ლოთი ცეცხლი მიეცემა ამხ. ნიკო ქვრივიშვილს და შეურაცხყოფა მიაყენეს, რასაც ზარები კიდეც ბრძანა. 15 ოქტომბერს თიანეთში თფილისიდან მოსულ ავ. ჩხენკელის რწმუნებულმა, რომელიც სპეციალური საქმეზე იყო გამოგზავნილი, შეკრიბა ორთმოცამდე კაცი, კრება სწრაფად აიხსნა ზეიმზე მათ. „ჩვენ არ გვინდა გადასახადების და წაღებულ ბეგრები"; „ჩვენ არ გვინდა პურის მონოპოლია, გვისურვია სურს, ისე გაყიდონ"; მაგრამ ვიდოთ პროპაგანდისტები და ხალხს აჯანყებას ასწავლიან", ამას უნდა ყურადღება მიექცეს. ბევრი მ გვარი საფუძველი დაიბარეს ახალი მოძრაობის წინააღმდეგ. მხოლოდ მომაკლეთ ბევრი აქვს სიცოცხლე, რომ კონტრ-რევოლუციონერები „საქმინობენ" და მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება აუცილებელია.

თ—ლი მ.

ს. ძიძაი. (გორის მაზრა). დღეს ყველა სოფელს აქვს რამდენიმე კულტურული დაწესებულება—სკოლა, სამკითხველო და ზოგან ამხანაგური ლექციები, მიტინგები. ჩვენი სოფელი კი ყველა ამას მოკლებულია. ერთი პირველ დაწყებითი სასწავლებელი გვქონდა, ისიც როგორც ვატყობ, მალე მიიკეტება, რადგან მასწავლებელი ჯერაც არა ჩანს.

თვით ადგილობრივი ადმინისტრაციული კომიტეტიც ვერ მუშაობს დროის შესაფერად. ამიტომ ეს კომიტეტი და სოფლის კომისარიც ისე მუშაობს, როგორც მათ საკუთარი ჭკუა გაუჭრით.

ამას წინეთ კომისარმა შიო მღვიმეს მონასტრიდან ბევრი რამ წამოიღო თავის ნებით. პირველ ოქტომბერს კი, ალბათ, ამ ჩადენილი „ცოდვების" გამოსასყიდათ ძეგვის დროშა მარქსის სურათით გაგზავნილ იქნა მცხეთაში კათალიკოსის კურთხევაზე დასაწყობლად. როდესაც მებაირახტრეს მივმართე შეკითხვით, თუ რა ადგილი ქონდა აქ ამ დროშას ან ვისი ნებართვით წამოიღეთ, პასუხად მიიღე:

დროშა ჩვენია და ვის უნდა დავეკითხოთ ნებართვა, ჩვენ კომიტეტს ვუთხარით და წამოვიღეთ;

მე ვუთხარი: მაგ დროშას დღეს აქ ადგილი არა აქვს მეთქი.

ეგ თქვენი საქმე არ არის,—მიიღე პასუხად.

ასე განუკითხავად არის ჩვენი სოფელი და მისი—ადმინისტრაციული კომიტეტი.

დროა შეიგნოს ამ სოფლის მცხოვრებლებმა, თუ სად რა ეკუთვნის და სად რა არა. კარგი იქნებოდა, რომ ხშირ-ხშირად ეგზავნოთ გაზეთები ... სოფლის მოლაპარაკეებს ჯერ არის.

ნაკოთხეველი.

ძ. ხანჯაბაში, 25 სექტემბერს მდ. ყვირილაში ცხენების ბანაობის დროს უეცრად დაიხრჩო მესამე დაწყებითი სკოლის მოწაფე, გორის მაზრის, ს. ხიდისთავის მცხოვრები იოსებ ტყეშელაშვილი. დამხრჩვალის გვამი 6 ოქტომბერს ვიპოვეთ დიდი ძებნის შემდეგ და გვამების შემოწმების შემდეგ მიწას მივაბარეთ ქ. ხანჯაბაში. განსვენებულს ფული დარჩა 175 მანეთი, აგრეთვე ოქროს ბეჭედი რამდენიმე თავის ჯიბეში. კარაკილისის ს. ს. დ. მ. პ. ორგანიზაცია მწუხარებით აღნიშნავს თავის წევრის, ბატონისან მუშაკის ამხ. იოსებ ტყეშელაძის უდროოდ დაკარგვას და უზიარებს მისი ჭირისუფლების მწუხარებას. მშობლებს შეუძლიათ ყოველივე ცნობის მისაღებად მიმართონ ზემო აღნიშნულ ქ. კარაკილისის ორგანიზაციას.

გ. ლომთათიძე.

სამურზაყანოში ყაჩაღობა და ძარცვაგლეჯა მწვავე ხასიათს ღებულობს. როგორც გადმოგვცემენ, აქ ბევრი ყოფილა ისეთი პირები, რომლებიც ომში წასვლის ნაცვლად ყაჩაღობას ამჯობინებენ და იმის მაგივრად, რომ სამშობლო მტრებისაგან დაიცვან თითონვე შინაურებს აწიოკებენ მას. მოგზაურობა ყოვლად შეუძლებელი ხდება: მგზავრებს ართმევენ ყოველნაირ ნივთებს, აძრობენ აგრეთვე ტანისამოსს. ვინც კი გაბედავს რამეს, მოკლულია ეგრევე. ჩვენ არ უნდა შევეგუოთ მათ. ცხადია ისეთი ხალხმა, რომლებიც დიდი ხნიდან ართმევენ და რევოლუციას დაამარცხებენ. ნუ დავივიწყებთ მათ, იცოდეთ, რომ ისინი სულ კონტრ-რევოლუციონერები და დემოკრატიის კი მტრები არიან. სამურზაყანოს დემოკრატია შეურიგებელი ძალით გამოვიდეს და სამუდამოდ ბოლო მოუღოს ასეთი ნაძირალების გამოსვლებს.

ხ. ბ.

ბაღდადის რაიონი. პურისა და ფართალეულობის კრიზისმა და ამ ნიადაგზე ბნელი ძალების აგიტაციამ უკვე თავის ნაყოფი გამოიღო. პირველად ნიშანში აჩვენეს კოოპერატივი და შემდეგ სასურსათო კომიტეტი. 8 ოქტომბერს ბაზრისას უეცრად ვიღაცამ ზარს რეკა ასტეხა, ეს ნიშანი იყო იმისა, რომ ქალაქელი და სოფლელები უნდა მოეგროვებინათ კოოპერატივის დასარბევათ. როგორც ხალხის გამოირკვა, ამით უნდოდათ ადგილობრივ ორგანიზაციის და მილიციის ყურადღება მიექციათ და ამ დროის თვითეულ თავდასხმას აწყობდენ საკოოპერატივო მაღაზიებზე. თავზარდამცემ ამაზე მეტი ვიდარ წავა! მერე ვინ არიან ეს პროვოკატორები? ვინ და ვინც დღემდე ჩარჩ-ბაყალობით ქვეყანას აწყობდენ, ვინც ძველ, მთავრობის მეგობარი იყო, ყოველთვის ფულით ქვეყანას სტყვნიდენ და შემდეგ ურჩია „ქვეყნებას" გამოდის თავის ლაპარაკით. ამ პროვოკატორებს მოეხმარა სამოქმედო ახმარეზი და გაუნაწილეთ ჩოხები, ახლა პირველ მიტინგის კოოპერატივებში და სასურსათო კომიტეტებში ხედავენ... ცხინვალის რაიონის ყველა ორგანიზაციებმა მაშინვე ფილები ზომები მიიღეს და თფილისშიც დეპეშა აცნობეს. სწორეთ ამ დროის თფილისის ზოგიერთი ორგანიზაციის დელეგატებით ცხინვალის რაიონში მივიდოდი. ცხინვალში იმ დროის მიღწევდი, როცა ცხინვალის ყველა მოწინავეებმა ამხ. ეფრემიძის და ამხ. ტერ-ასტვაწატურის მეთაურობით ფილები კრება მოეწვიათ და ზომებს იმუშავებდენ. გადაწყდა, რომ 10 ოქტომბერს მოეწვიათ საზოგადო მიტინგი.

მიტინგზე მოვიდა რამდენიმე ათასი კაცი და ქალი. მიტინგი მეტად მშვიდობიანი გამოდგა, მაგრამ ნაკლები მაინც მოიტანა იმ მხრივ, რომ ფართო მასებმა გაიგეს, თუ ვინ აწყობდა „პოგრომს". მიტინგმა დაადგინა ყოველგვარი დარბევა და ხულიგანური გამოსვლები. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია ხორბლისა და ფართალეულობის შეძენა-მოწყობის შესახებ. ამხ. ეფრემიძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება რაიონში სურსათის მდგომარეობის შესახებ. წარმოითქვა მრავალი სიტყვა და საღამოს 5 საათზე მიტინგი დაიხურა. უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთ პირებმა ვერ დამალეს თავის „პოგრომული" სულისკვეთება და, თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც გაილაშქრეს ახალი წყობილების წინააღმდეგ. უკეთუ ეს ვაჟბატონები არ მოიშლიან თავის „ხულიგანურ" საქციელს ყველა ისინი ჩამოწერილნი და მათ სახელ-გვარები გაზეთებში გამოქვეყნებული და სასტიკი ზომებიც იქნება მიღებული მათ წინააღმდეგ.

ხ. მაისურაძე.

თელავი. შიმშილობამ უკვე ფეხი მოიკიდა ჩვენ თელავშიც და ღვინობისთვის 12 დან ჩვენ თვალწინ აღიმართა მისი საშინელი აჩრდილი; ამ დღეს სრულიად აღარ იშოვებოდა პური, თავზარ დაცემული მცხოვრებნი დარბოდნენ ქუჩებში, პურის ბარათით ხელში, რომლითაც სულზე გირვანქას ღებულობდენ წინა დღეებში, ეხვეწებოდენ, რომ პური მიეცათ, მაგრამ თვალცრემლიანი ისევ უკანვე ბრუნდებოდნენ ხელცარიელები, აღარ იცოდენ საბრალო მშობლებმა რითი დაემშვიდებინათ დამშეული ატირებული ბავშვები და გაბრაზებული ლანძღვა გინებას უთვლიდენ, თავიანთი შეუგნებლობით, ახალთაობას და სასურსათო კომიტეტს, რომ ეგენი არ უშვებენ, სხვამ მოიტანის ფქვილი, თორემ პური თავსაყრელი იქნებოდაო; ერთი სიტყვით, დიდი მღელვარება იყო უპურობის გამო მთელ თელავში და მეორე დღეს უარესი იყო მოსალოდნელი, რომ დროზე არ მოსწრებოდა სასურსათო კომიტეტის ბიური რამდენიმე ურემში სოფლის წისქვილებში გაგზავნილი ხორბალი დაეფქვიათ, რაც დღეისთვის მეორე დღეს სულზე სამი მეოთხედი გირვანქა გამოსცხვარი პური მცხოვრებთ, მაგრამ ახლა ამაზე ჩავარდა ჩიჩილი, რომ არა გვყოფნისო და ისევ უსაყვედურებდნენ სასურსათო კომიტეტს და ახალთაობას. ამის გამო გადაწყვიტა აქაურმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ სახალხო მიტინგის მოწყობა, რისთვისაც სასწრაფოდ დაიბეჭდა განცხადება და დაარიგა როგორც თელავში, აგრეთვე მის ახლომახლო სოფლებშიაც, რომ დასწრებოდნენ 15 ღვინობისთვეს დილის ათ საათზე ქალაქის ბაღში სახალხო მიტინგს. გათენდა 15 ღვინობისთვე და ხალხმაც იწყო დენა ბაღისკენ. აღარ ეტყობოდა ხალხს ის ლაღობა-ხმაურობა, როგორც სხვა დროს ყოფილა,—ყველას რაღაც მწუხარების დაღი აჩნდა სახეზე, ყველა რაღაც ფიქრებს გადაეცა და უხალისოდ მიდიოდენ. დილის ათ საათზე ყველამ თავი მოიყარა ბაღში, სადაც ტრიბუნა იყო გამართული და ირგვლივ წითელი დროშები აეშვებინათ, ... ხალხის ხმაური და ... გულდაჯდომილი. მიტინგი გახსნა ამხ. ს. მაჭავარიანმა და თავიანთ სიტყვით განუმარტა ხალხს დღევანდელი მიტინგის მიზანი, შემდეგ ილაპარაკა ქალაქის თავმა ქ. ანდრონიკაშვილმა (რუსულად) და ამხ. რაფ. ჩიხლაძემ (ქართულად), რომლის ლაპარაკმაც აღფრთოვანებაში მოიყვანა ყველანი, მან ნათლად განუმარტა ხალხს ყველა ის უბედურებანი, რაც ომის მიზეზით არის გამოწვეული. ურჩია მოთმინება და ბრძოლა ყოველგვარ ბოროტებების წინააღმდეგ, ვინაიდან „ჭირი შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირისაო". იქამდე გრძნობიერი იყო ამხ. ჩიხლაძის ლაპარაკი, რომ ბევრს ცრემლი მოჰგვარა თვალებზე, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართულის არ მცოდნე რუს ჯარისკაცებს და მოითხოვეს სიტყვა რუსულად გადმოეთარგმნა. ამხ. ჩიხლაძემ ხელმეორეთ რუსულად ილაპარაკა; მის შემდეგ ილაპარაკა ერთმა რუსმა ჯარისკაცმა და ამით მიტინგიც დასრულდა.

მეგობარი.

წერილები რედაქციის მიმართ

„ერთობის" № 188 ნომერში ხიდისთავიდან მოთავსებულია ჩვენი საწინააღმდეგოდ წერილი ვ. ბე-ლი-სა. ვიწვევთ ვ. ბე-ლი-ს სამედიატორო სამართალში; ჩვენის მხრით შედიან ორივე გასახელებულთ პეტრე გიორგი შილაკაძეს, ვ. ბე—ლის ვაძლევთ მედიატორის დასახელებისათვის ერთ კვირას დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა. ბ მე ვ ბე ლი-მა უნდა დაამტკიცოს ის, რაც გაზეთში დასწერა.

ამხანაგების დავალებით არაკლი ქორიძე, ერმალო კვანჭიანიძე.

თეატრი და ხელოვნება

ხად. ჯუმათი. 8 ოქტომბერს ადგილობრივი სკოლის დარბაზში მ. ჭყონიას ინიციატორობით გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენის დაწყების წინ რეფერატი წაიკითხა კ. ჭყონიამ. ის შეეხო რუსეთ-იაპონიის ომს, 1905 წლის რევოლუციას, შემდეგ საერთაშორისო ომს და რუსეთის დიდ რევოლუციას. შემდეგ წარმოადგინეს „ლურჯი ხალათი", დრამატიული ესკიზი, ერთ მოქმედებად, „ორი მზეთი" და „გაბეიკოფები", კომედიები ერთ მოქმედებად. საზოგადოება წარმოდგენას ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. შემოვიდა 217 მ. 50 კ., რომელიც გადაეცა ხარჯების გამოკლებით ამავე სოფლის პირველ დაწყებით უმაღლესი სასწავლებლის სასარგებლოთ.

მაკაშვილი.

ს. ბაჯითი (გურია). 15 ოქტომბერს სკოლის დარბაზში სახარჩენო ფონდის გასაძლიერებლად წარმოდგენილ იქნა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა „გოგია უიშვილი" და „იასონის ოინები" ი. გედევანიშვილისა. მთავარ როლებს ასრულებდენ ამ წარმოდგენისათვის საგანგებოთ ბათუმიდან მოწვეული სცენის მოყვარენი: ნ. სარიშვილი, დ. ასათიანი და ფ. ვადაჭკორიას ქალი. ნ. სარიშვილი (გოგია) კარგი იყო. ფაცი ვადაჭკორიამ (მარინე) დაკვირვებით ჩაატარა როლი. ბევრი აქტიორ ხალხი მეორე მოქმედებაში, სადაც გაგიჟებული თავის შვილებს დანით ყელებს სჭრის. „იასონის ოინებში" (თეიმურაზი) ნ. სარიშვილმა, ი. ვადაჭკორიამ (ივანე), დ. ასათიანმა (მაქსიმე), ფ. ვადაჭკორიამ (ელეთი) ბევრი აცინეს საზოგადოება, თუმცა შიგ თავისებური ცვლილებები შეიტანეს, რაიც ელფერს უკარგავდა პიესის მთლიანობას. წარმოდგენის შემდეგ წაიკითხეს ლექსები და ბოლოს ვაი ვეფხის ხმაზე ნ. სარიშვილმა და დ. ასათიანმა იმღერეს თანამედროვე კუპლეტები; საერთოთ, წარმოდგენა კარგად ჩატარდა. მადლობის ღირსნი არიან, როგორც მოთამაშენი, ისე მომწყობნი. წმინდა შემოსავალი ას მანეთს აღემატება.

ბაისიშვილი.

ავჭალის აუდიტორიაში.

კვირას, 22 ოქტომბერს, ავჭალის აუდიტორიაში რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივი, დამფუძნებელი კრების ფონდის გასაძლიერებლად მართავს საღამოს.

1) დამფუძნებელ კრებაზე ლექციას წაიკითხავს ა. ლომთათიძე.
2) პიესა ერთ მოქმედებათ ქ ნ ელია ანდრონიკაშვილის და გ ნ შალვა დადიანის მონაწილეობით.
3) მომღერალთა გუნდი ღვდლიშვილის ლოტბარობით.
4) დივერტისმენტი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგე ფ. ლორია.

პირველ სამილიციო უბნის
დამფუძნებელ საარჩევნო კომისია
მოთავსებულია მე 6 ვაჟთა გიმნაზიაში (ხარფუხისწყლის ქუჩა № 3) [illegible] ყოველდღე საღამოს 6—8 საათამდე.

კვირას 22 ოქტომბერს ნაძალადევის თეატრში დილის 10 საათზე. XI უბნის სასურსათო კომიტეტი იწვევს

მოქალაქეების კრებას

კითხვები: 1) მოხსენება კომიტეტის თავის მოქმედების შესახებ. 2) კვირაში ფქვილების მოსპობა და პურის ყიდვის დროის კლუბების მოსპობა. 3) სასურსათო კომიტეტის რეორგანიზაცია და კომიტეტის წევრების არჩევნები.

XI უბნის სასურსათო კომიტეტი.

ექიმი კ ი გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. მუხრანის ქუჩა, № 4, [illegible] ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. მეფხაძე

[illegible] კლინიკის [illegible] ავადმყოფებს [illegible] — 6 ნახ. საათამდე, [illegible] ქუჩა, № 19.

ქალთა [illegible]

მღ. ი. თავართქილაძე

[illegible] ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] ელექტრიზაცია. [illegible] ქუჩა, № 4

ექიმი

გ. ლონხინი

ყოფილი ასისტენტი პარიზის მოთვარ კლინიკების იღებს

თვალის ავადმყოფებს.

დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, ([illegible]).

ქალის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა, [illegible] ქ. № 22.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდე. გუდოვის ქ. № 41.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირის დღის გარდა, [illegible] ქუჩა № 67; [illegible] № 5—77.

მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეჯრანიანი

განახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობანი, [illegible] ელექტრო-წამლობის კაბინეტში; [illegible] დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. [illegible] ქუჩა № 28, ტელეფონი 7—92.

ქ. თფილისის მცხოვრებთ

ჩვენ განვიცდით მძიმე დღეებს. ქალაქს არ ყოფნის პური. 1 ოქტომბრიდან 14-მდე ქალაქისათვის მიღებულ იქნა 58 ვაგონი ფქვილი, ე. ი. საშუალოდ დღეში 4 ვაგონი ფქვილი, მაშინ როდესაც ყოველდღიური საჭიროება [illegible] 7 ვაგონს. ქალაქის წისქვილები, რომლებიც [illegible] დღეში, რომ დაფქვიან ხორბალი. რომელიც გული ფქვილის მაგიერ [illegible] ქალაქს, რა ინტენსიურადაც არ უნდა იმუშაონ, სულ ერთია, დღე და ღამეში ორ ვაგონ ხორბლის მეტს ვერ დაფქვავს, რამაც შექმნა კრიტიკული მდგომარეობა. ამ ჟამათ თფილისი კვებავს არა [illegible] ქალაქის მცხოვრებთ. ქალაქის სასურსათო კომიტეტმა უნდა იზრუნოს ქალაქში მოსწავლეებზე და გამვლელებზე, რომელთა რიცხვი დღე და ღამეში უდრის 1500—2000 სულს. ქალაქის პურით იკვებება აგრეთვე [illegible] შემოგარენი სოფლები 15—20 ვერსით დიამეტრში.

განსაკუთრებულ კრიტიკულ მომენტში, როცა ფქვილის მაგიერ ქალაქი ხორბალს ღებულობს, რომ მცხოვრებნი უპუროთ არ დარჩენ, ქალაქის სასურსათო კომიტეტმა აიღო საინტენდანტოდან სუხარი, რომლითაც შევსებულ იქნა პურის ნაკლებობა.

მიუხედავათ მძიმე მდგომარეობისა, რომელსაც ქალაქი განიცდის, ადგილობრივი სასურსათო ორგანოები იმედს არ კარგავენ, და მიღებულია ყოველგვარი ზომები, რომ თფილისი უპუროთ არ დარჩეს. არის იმედი, რომ საქმე მოეწყობა და მცხოვრებნი პურით უზრუნველყოფილი იქნებიან.

მოქალაქენო! აღმასრულებელი კომიტეტი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოისა, ქალაქის თვითმართველობა და თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი მოგიწოდებენ თქვენ მშვიდობიანად და სერიოზულად შეხვდეთ შექმნილ მდგომარეობას.

ისტორიის მრისხანე ჟამსა, როცა სასწორზე იწყობა მთელი ჩვენი რევოლუცია და როცა ერთი დაუფიქრებელი შემცდარი ნაბიჯით შეიძლება მთლად დაიღუპოს მთელი რევოლუციის მონაპოვარი, ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ გადაიტანოთ შექმნილი მდგომარეობა მშვიდობიანად, დაეხმაროთ სასურსათო ორგანოებს მძიმე საქმეების შესრულებაში, რომელიც მათ მიანდო რევოლუციონურმა ხალხმა.

ყოველ შეგნებულ მოქალაქეს თავისთავად უნდა იცოდეს, რომ ყოველივე უბედურების სათავე, იმათ შორის შიმშილისაც, არის უბედური ომი, რომელიც მეოთხე წელია გრძელდება. იმან შეარყია ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა და ძველი მთავრობის ავაზაკურ პოლიტიკამ დააჩქარა მისი ერთიანად არევ-დარევა.

მოქალაქენო! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ შეიგნებთ არსებული მომენტის სიმძიმეს, და ეს მძიმე მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია პურის ნაკლებობით, ვერ დაშლის თქვენს რევოლუციონურ სიმტკიცეს, რომელიც ასე საჭიროა რევოლუციის გასამაგრებლად და განსამტკიცებლად.

აღმასრულებელი კომიტეტი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოსი.
ქალაქის გამგეობა. ქალაქის სასურსათო კომიტეტი. 2—2

დამფუძნებელი კრების

ამიერ კავკასიის ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტისაგან

დამფუძნებელი კრების ამიერ კავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისია ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ სარ. სიების გამოქვეყნების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 20 ოქტ. 21—27 ოქტომბრამდის კომისია მიიღებს ყოველგვარ საჩივრებს სიებში შეპარულ შეცდომათა და გამოტოვებულების შესახებ. 28—30 ოქტომბრამდის კომისია გაარჩევს შემოტანილ საჩივრებს; 31 ოქტომბრიდან ვიდრე 3 ნოემბრამდის მოქალაქეთ ეძლევათ უფლება გაასაჩივრონ საოლქო სასამართლოში კომისიის გადაწყვეტილება, თუ კომისიის გადაწყვეტილება მათ ვერ დააკმაყოფილებს. 4-დან 6 ნოემბრამდე საოლქო სასამართლო განიხილავს მიღებულ საჩივრებს და 7 დან 11 ნოემბრამდის აბრუნებს [illegible] შესწორებული სიები.

1—1 პრეზიდიუმი.

თფ. ქალაქის გამგეობა აცხადებს,

რომ იმ პირებმა, რომელთაც საბუთები აქვთ მიცემული ქალაქის შკოლებში მასწავლებლის ადგილის მისაღებად, ხვალიდან წინ და წინ გამოცხადდენ [illegible] მისაცემათ. ვისაც სურს [illegible] მიცემა, მათ უნდა წარმოადგინონ შესაფერი განცხადება ქალაქის სამკურნალო განყოფილებაში. (სერგიევის ქ. № 4).

(1—1)

სახლების რწმუნებულთა და კომიტეტთა მოწყობა.

„პარაზიტებთან" ბრძოლის მიზნით, საბინაო თავის დროზე მისაცემად და სასურსათო ბარათების განაწილების გასაადვილებლად ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა შეუდგეს სახლების რწმუნებულთა და კომიტეტთა მოწყობას. სახლები, რომლებშიაც სცხოვრობენ ას კაცამდე, ირჩევენ თითო რწმუნებულს, სახლებს კი, რომლებშიაც ასზე მეტი კაცი სცხოვრობს, ირჩევენ სახლის კომიტეტს. მოქალაქენო! მოემზადეთ სახლის რწმუნებულთა და კომიტეტთა არჩევნებისათვის. ცნობებისათვის მიმართეთ თქვენი უბნის სასურსათო კომიტეტს.

(2—1) ქალაქის სასურსათო გამგეობა.

გაიხსნა ახალი
ქართული სრულუფლებიანი გიმნაზია
ორივე სქესის ყმაწვილთათვის

ამთავათ მიიღებიან მოსწავლენი I კლასში და მოსამ განყოფილებებში.

ფასი სწავლისა I კლასში 200 მან. განყოფილებებში 150 მ.

თხოვნა მიიღება ყოველდღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე. უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის კანცელარიაში.

ვერა. არაგვის ქუჩა, სახლი ხიმშიაშვილისა № 2.

10—2 დამფუძნებელი ნინო და თამარ ბრეგაძეები.

სავაჭრო სახლი
„ექსპორტ-იმპორტი"
ა. სემიმიანცი და ამხანაგობა

იღებს ყველანაირ საქონლის შეკვეთას და კისრულობს საჩქაროდ მიაწოდოს შეკვეთილი საქონელი როგორც რუსეთის რესპუბლიკის ქალაქებში ისე საზღვარ გარეთ.

მისამართი: Владивостокъ, Алеутская 13, торговый домъ „Экспортъ-Импортъ"
А Семимянцъ и К-°. 8—2

მომხმარებელი საზოგად. „მოსავალი"

აცნობებს როგორც წევრებს, ისე არა წევრებს, დაიწყო პურის გამოცხობა და ყიდვა შემდეგ ადგილებში: ნაძალადევში, [illegible] ქუჩა № 1, ლოტკინის ქუჩა, ჩერქეზოვის ქუჩა, [illegible] ქუჩაზე 2 ადგილას, დიდუბეში, ავლაბარში [illegible]. [illegible] ქუჩაზე. ამ დღეებში გაიხსნება: ორთაჭალაში, ილიას ქუჩაზე, ჩერქეზოვის ქუჩაზე, ავლაბარში 2 ადგილას, ანტონოვის ქუჩაზე და სხ.

(2—2) გამგეობა.

განცხადება

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აცნობებს ამავე კლუბის წევრთ, რომ, რადგანაც 8 ოქტომბერს საგანგებო კრება არ შესდგა, იგი გადაიდო 22 ოქტომბრისათვის დილის 12 ს. თანახმად მე 29 მუხ. კლუბის წესდებისა ეს კრება ჩაითვლება კანონიერად წევრთა რაოდენობის მიუხედავათ. განსახილველია: განცხადება 40 წევრისა, მიმდინარე კითხვები და შემდეგ მოსამართლეთა არჩევნები. (2—2)

მომხმარებელ საზოგადოება
„მოსავალს"

საჭიროა, პურის მცხობლები, ცომის მომზელები, ფქვილის გამცრელები, პურის გამყიდველები.

სასურველია რეკომენდაცია სხ. დაწესებულების, კოოპერატივების, პარტიის.

კანტორა მოთავსებულია მიხაილოვის და კრილოვის ქუჩის კუთხეში. დილის 9—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

8—8 გამგეობა.